ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba



„გაზპრომთან ხელშეკრულების გაფორმებაში ბერლუსკონის ხელი ურევია“

გვ.4

20 იანვრიდან
დიდი ქართველი მეფეები
ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი




ორშაბათი, 23 იანვარი, 2017 №18 (7253) ფასი: 50 თეთრი

# ვის დარჩება მერაბიშვილი



გვ.3

„მე დარწმუნებული ვარ, რომ ვანო მერაბიშვილი მოიქცევა აბსოლუტურად განსხვავებულად, ვიდრე მოიქცა გიგი უგულავა. გიგი უგულავა არ გამოსულა ციხიდან, როგორც ნაციონალური მოძრაობის წევრი. გიგი უგულავა გამოვიდა საპატიმროდან, როგორც უკვე სხვა ოპოზიციური პარტიის წევრი“

## პრემიების სკანდალი ცესკოში

გვ.2






შალვა ნათელაშვილი: „ამაზე მეტი მტკიცებულება რაღად გინდათ, რომ არჩევნები გაყალბდა“



## სააკაშვილი: „ფოტოები ტრამპის ინაუგურაციიდან გამოსვლის დროს გადამიღეს“

გვ.3

## კახა კუკავა: „ივანიშვილს საქართველოში თურქმენეთის აშენება უნდა“

გვ.5








„გაზპრომთან კონტრაქტში კორუფციის ნიშნებია“



„სააკაშვილმა და ბოკერიამ ევროპული ფასეულობები დაამახინჯეს“

## ანზორ აბრალავა: „სააკაშვილი გუშინდელი დღეა“

გვ.3

ISSN 1987-9385
9 771987 938006

## მანდატურის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა გაგრძელდება

ჯეჯელავა იმერეთში მომხდარ ფაქტზე

გვ.7

## ღია წერილი

პრემიერ-მინისტრს,
**ბატონ გიორგი კვირიკაშვილს**
პარლამენტის თავმჯდომარეს,
**ბატონ ირაკლი კობახიძეს**
საქართველოს მხსნელს,
**ბატონ ბიძინა ივანიშვილს**

გვ.4

# პრემიების სკანდალი ცესკოში

შორენა მარსაგიშვილი

## შალვა ნათელაშვილი: „ამაზე მეტი მტკიცებულება რაღად გინდათ, რომ არჩევნები გაყალბდა“

**საქართველოში პრემიების ბუმია. მერიებს, საკრებულოებსა და სამინისტროებს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამაც აუბა მხარი. პრემია-დანამატის სახით გასულ წელს აქ 5 მილიონზე მეტი ლარი გაიცა.**

გასულ წელს ცესკოს თანამშრომლებმა ანაზღაურების სახით 14.941.628 ლარი მიიღეს. აქედან 9.475.693 ლარი თანამდებობრივი სარგოა, 2.080.874 ლარი პრემიაა, დანამატი კი 3.385.060 ლარს შეადგენს.

ნახევარ მილიონ ლარზე მეტი ცესკოს თანამდებობის პირებზე – თავმჯდომარე თამარ ჟვანიაზე, მის მოადგილე გიორგი შარაბიძესა და ცესკოს მდივან გიორგი ჯავახიშვილზე გაიცა.

ამ სამეულიდან ყველაზე მეტი შემოსავალი, 197.308 ლარი, ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ მიიღო. ჟვანიას თანამდებობრივი სარგო 101.598 ლარით განისაზღვრა. პრემიის სახით 31.900 ლარი მიიღო, დანამატმა კი 63.810 ლარი შეადგინა.

ცესკოს თავმჯდომარეს 28.700 ლარით ჩამორჩება მისი მოადგილე გიორგი შარაბიძე. მან 168.608 ლარი



მიიღო. თითქმის იგივე თანხა მიიღო ცესკოს მდივანმა. გიორგი ჯავახიშვილის გასული წლის შემოსავალი 165.021 ლარს შეადგენს.

2016 წელს ცესკოს შტატში 90 თანამშრომელი ირიცხებოდა. მათ, ჯამში, 6.264.680 ლარი მიიღეს. ამ შემთხვევაშიც თითქმის ნახევარი პრემია და დანამატია.

ცესკოს შტატგარეშე და ოლქის თანამშრომლებმა სახელფასო სარგოს, დანამატისა და პრემიის სახით 8.146.012 ლარი მიიღეს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ შემთხვევაში პრემია-დანამატის ჯამი თითქმის 3-ჯერ ჩამორჩება თანამდებობრივ სარგოს.

2012 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 10 იანვრის ჩათვლით ცესკოს თანამშრომლებმა 56.737.470 ლარი მიიღეს. აქედან 37.542.550 ლარი თანამდებობრივი სარგოა, დარჩენილი 19.194.920 ლარი კი პრემია და დანამატი იყო.

ცესკოს თავმჯდომარეებმა, ზურაბ ხარატიშვილმა და თამარ ჟვანიამ, 5 წლის განმავლობაში, ჯამში, 780.960 ლარი გამოიმუშავეს. აქედან 547.232 ლარი თამარ ჟვანიას შემოსავალია. მათ შორის 5.500 ლარი 2017 წლის საახალწლო-საშობაო პრემიაა.

ყველაზე ცოტა თანხა ხელფასების, პრემიებისა და დანამატების სახით ცესკომ 2015 წელს გასცა. ეს თანხა 8.216.457 ლარს შეადგენს. გასულ, 2016 წელს კი ეს თანხა გაორმაგდა და 14.941.628 ლარი შეადგინა.

გასულ წელს ცესკოში გაცემულ პრემია-დანამატებზე ოპოზიციასა და არასამთავრობოებს ბევრი კითხვა გაუჩნდათ. ამ ოდენობით გაცემულ პრემია-დანამატებს ყველა საპარლამენტო არჩევნებს უკავშირებს.



პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი ლადო სადღობელაშვილი დარწმუნებულია, რომ თამარ ჟვანიას ამხელა პრემია-დანამატები ხელისუფლების კურთხევით გამოიწერა.

– ამ ადამიანმა გასულ წელს მიიღო 197.308 ლარი. გამოდის, რომ ის თვეში 16.000 ლარზე მეტს იღებს. ამხელა შემოსავალი თვეში არც პრეზიდენტს, არც პრემიერსა და არც საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს არ აქვს. ამ ხელფასებითა და პრემია-დანამატებით თუ ვიმსჯელებთ, ის ქვეყანაში პირველი პირია. ხელისუფლების პირველი პირების ნება რომ არა, ის საკუთარ თავს ამ რაოდენობის პრემია-დანამატებს ვერ გამოუწერდა. ჩატარებული არჩევნების შედეგებით კმაყოფილმა „ოცნების“ მამებმა მას ამის უფლება მისცეს, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში ლადო სადღობელაშვილი.

ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი კი ფიქრობს, რომ ამ პრემია-დანამატებით ნათელი ხდება, რომ არჩევნები გაყალბდა.

– მეტი მტკიცება რად გვინდა. არჩევნების გაყალბებისთვის ქრთამისაფასური ოფიციალურად გადახდილია და თანაც ისევ ხალხის ჯიბიდან. ივანიშვილს საკუთარი მილიარდებიდან მაინც ეკისრა სამალარიჩო მისი კრიმინალი თანამზრახველებისთვის, – ამბობს შალვა ნათელაშვილი.

ჩატარებულ არჩევნებს უკავშირებს ცესკოში გაცემულ პრემია-დანამატებს „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი სერგო რატიანი.

– იმის გათვალისწინებით თუ ვიმსჯელებთ, როგორ ჩატარდა არჩევნები, გასაკვირი არაფერია, – ამბობს დეპუტატი.

◆ ◆ ◆

არჩევნები საქართველოში წელსაც ტარდება და, უნდა ვივარაუდოთ, რომ ცესკოში 2017 წელსაც პრემია-დანამატების თოვა იქნება, პოლიტიკოსების განმარტებით კი ეს არჩევნების შედეგებზე იქნება დამოკიდებული.

---

## ოთარ კახიძე: „პრეზიდენტი ხალხმა უნდა აირჩიოს“



– თუ პრეზიდენტის არჩევითობის მიმართულებით რაიმე დაიხვეწება, პრინციპულია, რომ მისი არჩევითობის საკითხი არ უნდა გადაიხედოს, – განუცხადა ჟურნალისტებს პარლამენტის ფრაქცია „ევროპული საქართველოს“ წევრმა ოთარ კახიძემ.

მისი თქმით, საკონსტიტუციო სამუშაო ჯგუფში შესული საკითხები სხვადასხვაა და ძირითადად რამდენიმე თემას ეხება.

– ამ პრობლემატიკის გათვალისწინებით, უნდა დაიხვეწოს საქართველოს კონსტიტუცია, ასევე სახელმძღვანელო იქნება ვენეციის კომისიის მიერ მომზადებული დასკვნები.

ჩვენ ვთვლით, რომ ნაფიცი მსაჯულების სასამართლოს მეტი ინსტიტუციონალური გარანტია უნდა იყოს ჩადებული კონსტიტუციაში. ასევე მნიშვნელოვანია, შენარჩუნდეს პრეზიდენტის არჩევითობის ინსტიტუტი და, თუ ამ მიმართულებით რაიმე დაიხვეწება, პრინციპულად ეს საკითხი არ უნდა გადაიხედოს.

თავად კომისია რომ დაიწყებს მუშაობას, შემდეგ უკვე წამოიჭრება საკითხები, რომლებზეც, შესაძლოა, გვქონდეს მოსაზრებათა თანხვედრა ან წინააღმდეგობა, – განაცხადა ოთარ კახიძემ.

**მედიანიუსი**

---

## აფხაზეთში საფეხმავლო გადასასვლელებით მოსარგებლეებს აჯარიმებენ

აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმი საოკუპაციო ხაზის გასწვრივ კონტროლს ამკაცრებს და აცხადებს, რომ მოქალაქეების გადაადგილება მხოლოდ ენგურის ხიდის მეშვეობით იქნება შესაძლებელი.

ამ მიზნით მარიონეტულმა რეჟიმმა ხიდზე სასაზღვრო-გამშვები პუნქტი შექმნა – ხიდზე ჩვეულებრივი ავტობუსი დგას და მესაზღვრეები მოქალაქეებს სპეციალური საშვების აღებას ავალდებულებენ, რომელსაც რუსი ოკუპანტები და ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენლები გარკვეული გადასახადის გადახდის შემდეგ იძლევიან.

დამატებითი გადასახადის გადახდა ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქეს თან 10 კგ-ზე მეტი ბარგი აქვს.

მარიონეტული რეჟიმის განცხადებით, ეს გადაწყვეტილება აფხაზეთის პრეზიდენტმა ერთი კვირის წინ მიიღო და მისი მიღება საგადასახადო შემოსავლების გაზრდის მიზეზითაც არის განპირობებული





აღნიშნული მიზეზით გუშინ, 22 იანვარს, სპეციალური რეიდი ჩატარდა საფეხმავლო გადასასვლელ ფონებზე, რომელთა მეშვეობითაც ადრე მოსახლეობა აფხაზეთის ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილდებოდა.

თვითმხილველების განცხადებით, რუსი მესაზღვრეები, გალისა და ოჩამჩირის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად, საფეხმავლო გადასასვლელებთან ჩასაფრდნენ.

დღის განმავლობაში, 4 საათის შემდეგ, ოკუპანტებმა რამდენიმე მოქალაქე დააკავეს და მათ, როგორც საზღვრის დამრღვევებს, ჯარიმის სახით 200 ლარის ექვივალენტი რუსული რუბლის გადახდა აიძულეს. რამდენიმე მათგანს მობილური ტელეფონიც წაართვეს იმ მოტივით, რომ ისინი საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ მობილურ ქსელებში იყვნენ ჩართულები.

თუ რომელიმე მოქალაქე მსგავს დარღვევაში განმეორებით იყო შემჩნეული, ჯარიმის ოდენობა 500 ლარის ექვივალენტს აღწევდა.

ასეთი ერთი შემთხვევა იქნა დაფიქსირებული. ოკუპანტების განცხადებით, თუ მოქალაქე აფხაზური ადმინისტრაციის რომელიმე უწყებაში იქნება დაფიქსირებული, ჯარიმის სახით 800 ლარის ეკვივალეტი თანხის გადახდა მოუწევს.

ოკუპანტები და მარიონეტული რეჟიმის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ეს პირველი რეიდია და მსგავს აქციებს ისინი კვლავაც გაიმეორებენ.

**ნიუპოსტი**

---

## ნაციონალური მოძრაობა საპარლამენტო ფრაქციას დაარეგისტრირებს

საპროცედურო კომიტეტი დღეს, 23 იანვარს, ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის რეგისტრაციის საკითხს განიხილავს.

ფრაქცია 6-კაციანი იქნება და მის შემადგენლობაში ერთიანდებიან: რომან გოცირიძე, სალომე სამადაშვილი, ნიკა მელია, თინა ბოკუჩავა, კობა ნაყოფია და აზერ სულეიმანოვი.

ფრაქციას რომან გოცირიძე უხელმძღვანელებს. როგორც მან ინტერპრესნიუსს განუცხადა, ფრაქცია უმცირესობის ფარგლებში წარმოდგენილი არ იქნება.

საპარლამენტო უმცირესობის სტატუსი ნაციონალური მოძრაობის ყოფილმა დეპუტატებმა შეინარჩუნეს. უმცირესობაში შემავალი ფრაქციებია: „ევროპული საქართველო“ და „ევროპული საქართველო უკეთესი მომავლისათვის“.

**ინტერპრესნიუსი**

---

## ადა მარშანია: „შევთანხმდით იმაზე, რომ პარლამენტი თბილისში იმუშავებს“



ფრაქცია „საქართველოს პატრიოტების“ წევრ ადა მარშანიას ინფორმაციით, პარლამენტი ქუთაისიდან თბილისში გადმოვა მაშინ, როდესაც საკანონმდებლო ორგანო კონსტიტუციაში ცვლილებებს მიიღებს.

– ცხადია, შევთანხმდით იმაზე, რომ პარლამენტი თბილისში იმუშავებს და გადმოვა აქ. ეს მოხდება მაშინ, როცა მივიღებთ კონსტიტუციას. თავად პროექტში, რომელსაც ვიხილავთ, ასეთი ჩანაწერი არის და პარლამენტის თბილისში გადმოტანის წინააღმდეგი არავინ იყო, – განაცხადა ადა მარშანიამ.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრ სოფიო კილაძის განცხადებით კი საპარლამენტო უმრავლესობას ჯერ კიდევ სჭირდება დრო იმისთვის, რომ შეჯერდეს, რომელი მოდელია უკეთესი – პარლამენტის ქუთაისში დარჩენა თუ თბილისში გადმოტანა.

– შესაძლებელია, იყოს თბილისშიც, შესაძლებელია, იყოს ქუთაისშიც. მე ვერ ვხედავ პრინციპულ განსხვავებას რომელიმე მოდელში. დრო გვჭირდება მოსაფიქრებლად, ვინაიდან არგუმენტები ორივე ვარიანტს გააჩნია, – განაცხადა კილაძემ.

**მედიანიუსი**

---

## ბორჯომის ცენტრში მეუფე სერაფიმეს მხარდასაჭერი აქცია გაიმართა

ბორჯომში, ქალაქის ცენტრში, 200-ზე მეტი ადამიანი შეიკრიბა ბორჯომ-ბაკურიანის ეპარქიის ყოფილი ეპისკოპოსის, მეუფე სერაფიმე ჯოჯუას მხარდასაჭერად.

აქციის მონაწილეების თქმით, მეუფე სერაფიმე ეპარქიიდან კონკრეტული პირების მიერ მასზე ჭორებისა და დეზინფორმაციის გავრცელების გამო წავიდა.

– დარწმუნებული ვარ, არცერთ ბორჯომელს, ვინც მეუფე სერაფიმეს იცნობს, ეჭვი არ ეპარება მის ღვთისნიერებაში, სიკეთესა და პატიოსნებაში. მისი ამ ეპარქიიდან წასვლის კონკრეტულ მიზეზზე ვერაფერს ვიტყვი, თუმცა ფაქტია, რომ გარკვეულმა პირებმა ცრუ ინფორმაცია გაავრცელეს და ბინძური ჭორები ააგორეს, – აცხადებს ბორჯომის მცხოვრები ნუნუკა მეზვრიშვილი.

◆ ◆ ◆

მეუფე სერაფიმე ჯოჯუა ბორჯომ-ბაკურიანის ეპარქიის ეპისკოპოსი 2016 წლის აპრილიდან აღარ არის. საპატრიარქოს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მიზეზად მისი პირადი თხოვნა დასახელდა.

2017 წლის 17 იანვარს გახდა ცნობილი, რომ მეუფე სერაფიმე გერმანიისა და ავსტრიის ეპარქიის მმართველად დაინიშნებოდა.

ამ ფაქტს 3 სასულიერო პირის პროტესტი მოჰყვა. მათ მიერ ფეისბუქზე გამოქვეყნებულ წერილში ნათქვამია, რომ მეუფე სერაფიმე მიუღებელია მათთვის, რადგან რამდენიმე თვის წინ, მრევლის მხრიდან უმძიმესი ბრალდებების გამო, ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიის სასწრაფოდ დატოვება მოუხდა.

21 იანვარს მეუფე სერაფიმემ თავის ფეისბუქზე დაწერა, რომ უარს ამბობს გერმანიისა და ავსტრიის ეპარქიაში გამგზავრებაზე.

**მედიანიუსი**

---

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ანზორ აბრალავა: „სააკაშვილი გუშინდელი დღეა“

## „სააკაშვილმა და ბოკერიამ ევროპული ფასეულობები დაამახინჯეს“

მარიამ მჭედლიშვილი



ბოლოდროინდელ პოლიტიკურ მოვლენებზე „ახალი თაობა“ ყოფილ დეპუტატ ანზორ აბრალავას ესაუბრა.

***– ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, რომელსაც ბევრი გაკოტრებულად მიიჩნევს, თავის ხელახალ დაბადებას აღნიშნავს. მის გაკოტრებაზე საუბარი არასწორია?***

– ნაციონალურ მოძრაობას საზეიმოდ არ აქვს საქმე. პარტიის ბოლო ყრილობა დაბადების დღეს კი არა, პანაშვიდს უფრო ჰგავდა.

***– რატომ? ყრილობაზე ამბიციური გეგმები დასახეს.***

– ეს ემოციები ძალიან ყალბი იყო. სააკაშვილის ფანები საერთოდ არ ჩანდნენ. გამომსვლელებს თავიანთი პირადი ინტერესები აღელვებდათ. ამ პარტიას არაერთხელ შეუკრებია ხალხი ფულით. სავსებით მოსალოდნელია, რომ დელეგატების ნაწილისთვის თანხებიც დაერიგებინათ. შეკრებილი ადამიანები ისე მალე აიშალნენ, რომ ყრილობის გადაწყვეტილებებიც არ აინტერესებდათ. აქტივისტებსაც კი ეტყობოდათ, რომ სააკაშვილი და მისი არაადეკვატური გამოსვლები არაფერში სჭირდებათ.

***– სააკაშვილი აქცენტს ნაციონალურ თემატიკაზე აკეთებდა, გამომსვლელები კი – ლიბერალურ ღირებულებებზე.***

– დიახ. მათ შორის არანაირი ერთსულოვნება არ ყოფილა. სააკაშვილმა და მისნაირებმა არც ნაციონალიზმი იციან და არც – ლიბერალიზმი. სააკაშვილმა და ბოკერიამ ევროპული ფასეულობები დაამახინჯეს. მათ დაამკვიდრეს არასწორი აზრები. ხალხს რატომღაც ჰგონია, რომ ევროპული ღირებულებაა ჰომოსექსუალური ქორწინებები, ყველაფერი ტრადიციული კი ანტიდასავლურია. ისინი ხალხს როგორ მიიმხრობენ? ამდენი დანაშაული მაინც არ ჰქონდეთ ჩადენილი!

ამ ყრილობის ნორმალურად ორგანიზებასაც ვერ მოაბეს თავი, თორემ ვანო მერაბიშვილს გენერალურ მდივნად არ დატოვებდნენ. მერაბიშვილი თანახმა არ ყოფილა, ამათ კი ეს არ სცოდნიათ! ეს სახალხო მოძრაობა კი არ არის, როგორც გვიმტკიცებენ, არამედ ინტრიგებზე აწყობილი ორგანიზაციაა. მათგან გამოყოფილი „ევროპული საქართველოც“ არ არის ნაცმოძრაობაზე უკეთესი. ამ ხალხმა მოახდინა ლიბერალური ღირებულებების დისკრედიტაცია. ასეთი მარგინალური იდეები ადამიანებს სხვაგანაც მობეზრდათ. მათ ხსნა დონალდ ტრამპში დაინახეს.

***– მიიჩნევა, რომ ტრამპის ამომრჩევლები ის ადამიანები არიან, რომლებიც უმცირესობებს არ მიეკუთვნებიან.***

– მოხდა უპრეცედენტო რამ – წამოიწია ამერიკულმა პატრიოტიზმმა, რომელიც ადრე, ფაქტობრივად, არ არსებობდა. ტრამპი ნამდვილი პატრიოტია. მისი განცხადებები საკამათო ხდება, მაგრამ ის ბევრ რამეში მართალია. მაგალითად, აშშ-ის პრეზიდენტი აკრიტიკებს ნატოს. ნატო მართლაც გადაიქცა ჩინოსნურ-ბიუროკრატიულ, ნაკლებად ქმედით ორგანიზაციად.

***– ევროპაში მსჯელობენ უსაფრთხოების ახალ, ალტერნატიულ ორგანიზაციაზე, რომელმაც, შესაძლოა, შეცვალოს ნატო. ჩვენთან ამას არ ეხებიან.***

– საქართველოში ნატოს საქმიანობას ხშირად აფასებენ პრიმიტივები, რომლებსაც ექსპერტებს უწოდებენ, ასევე ვაიპოლიტიკოსები, რომლებმაც დასავლური ღირებულებების დისკრედიტაცია მოახდინეს. მათ წიგნიერების პრობლემა აქვთ და არ იციან, რომ სამხედრო-პოლიტიკური ბლოკები იქმნებოდა და იშლებოდა. მაგალითად, პირველი მსოფლიო ომის წინ ჩამოყალიბდა ანტანტა და სამთა კავშირი. ასეთი შეზღუდული ხალხი ისტერიკაში ვარდება იმის გაგონებაზე, რომ ტრამპი შეიძლება დაელაპარაკოს პუტინს. რუსეთთან დიდი პრეტენზიები გვაქვს, მაგრამ მის დიალოგზე ამერიკასთან ელეთმელეთი არ უნდა დაგვემართოს.



აშშ და საბჭოთა კავშირი ერთმანეთის მტრები იყვნენ, მაგრამ რუზველტი ელაპარაკებოდა სტალინს. რატომაა დაუშვებელი ტრამპისა და პუტინის შეხვედრა? ასეთი „სპეციალისტები“, ბუნებრივია, სწორად ნატოს საქმიანობას ვერ შეაფასებენ. ასეთივე უაზრო აურზაურია გაზპრომის გარშემო.

***– გაზპრომთან გაფორმებული ახალი ხელშეკრულება საქართველოსთვის მომგებიანად ვერ ჩაითვლება.***

– დიახ, მაგრამ მისი პირობები ჩვენს სურვილზე ხომ არ არის დამოკიდებული? ყველაფერი ნოქრის მენტალიტეტით არ უნდა გაიზომოს. ჩვენ რთულ მდგომარეობაში ვართ. საქართველოს იურისდიქცია ვერ ვრცელდება მის მთელ ტერიტორიაზე. არ ვართ დაზღვეული რისკებისგან.

***– ისევ თავდაპირველ თემას შევეხოთ. აქტიური პარტიები არ ჩანან, ნაცმოძრაობა შენარჩუნებულია. უცხოელი პარტნიორები მასთან, როგორც ოპოზიციასთან, ისევ გამართავენ შეხვედრებს.***

– საქართველოში არსებობენ ჯგუფები, რომლებიც წინა ხელისუფლებების დროს დათრგუნეს. ისინი რომ საერთო იდეების გარშემო გაერთიანდნენ, ახალი ძალა გამოჩნდებოდა. ჩვენ ჯერ შევარდნაძეს ვებრძოდით, შემდეგ სააკაშვილის ოპოზიციაშიც ჩავდექით. შევარდნაძე და მისი მემკვიდრე სააკაშვილი ეროვნულად განწყობილ ძალებს ერთნაირი სიძულვილით უსწორდებოდნენ. ნაციონალურ მოძრაობას დასავლეთში სერიოზულად არავინ აღიქვამს. მასთან იმართება შეხვედრები, ვინაიდან ის საპარლამენტო ძალაა.

***– სააკაშვილს რა როლის შესრულება შეუძლია პროცესებში?***

– სააკაშვილი გუშინდელი დღეა. ბოლო დროს მას იმდენი რამ დაატყდა თავს, რომ მკურნალობაც ვერ უშველის. ის უკრაინაშიც არ სჭირდებათ. თუ ადრე სააკაშვილი მხოლოდ საქართველოს პრობლემა იყო, ახლა ის ისეთი დიდი სახელმწიფოს პრობლემა გახდა, როგორიც უკრაინაა.

# ვის დარჩება მერაბიშვილი

შორენა მარსაგიშვილი

ნაციონალური მოძრაობა და მასთან განშორებული ევროპელი ქართველები ყოფილი შს მინისტრის ვანო მერაბიშვილის გულის მოგებას დაუღალავად ცდილობენ. გაევროპელებული ნაციონალები ჯერ კიდევ გამოყოფამდე ამტკიცებდნენ, ვანო ჩვენ მხარეს არის და წერილიც გამოაგზავნაო.

ისე გაიყო 2 ნაწილად ყოფილი ხელისუფლება, რომ ამ წერილს დღის სინათლე არ უნახავს, ნაციონალებმა კი თავიანთ ყრილობაზე ისე აირჩიეს გენერალურ მდივნად მერაბიშვილი, მისთვის აზრი არც კი უკითხავთ, ეტყობა, ჩათვალეს, რომ ციხეში მყოფის დუმილი თანხმობას ნიშნავდა.

გენერალურ მდივნად არჩეულმა მერაბიშვილმა დუმილი დაარღვია და თქვა, ამ თანამდებობაზე თანხმობა არ განმიცხადებაო. დეტალების დასაზუსტებლად მასთან დღეს, 23 იანვარს, ნიკა მელია აპირებს ციხეში შესვლას.

მისი მტკიცებით, მერაბიშვილი სხვა დონეა და ის დონე გადაწყვეტილებას მიიღებს.

– მე დარწმუნებული ვარ, რომ ვანო მერაბიშვილი მოიქცევა აბსოლუტურად განსხვავებულად, ვიდრე მოიქცა გიგი უგულავა. გიგი უგულავა არ გამოსულა ციხიდან, როგორც ნაციონალური მოძრაობის წევრი. გიგი უგულავა გამოვიდა საპატიმროდან, როგორც უკვე სხვა ოპოზიციური პარტიის წევრი.

მე, პირადად, მჯერა, რომ ვანო მერაბიშვილი აბსოლუტურად სხვა სიმაღლეზე დგას და მისი გადაწყვეტილება იქნება სრულიად სხვა, თუმცა, ბუნებრივია, მასზე იქნება დამოკიდებული და შეხვედრის შემდეგ ცნობილი იქნება ყველაფერი, – ამბობს მედიასთან საუბარში მელია.

ნაციონალური მოძრაობის პოლიტსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, იურისტი ზაზა ბიბილაშვილი ამბობს, რომ მერაბიშვილის თანხმობა საჭირო არ იყო, რადგან იგი გენერალურ მდივნად კი არ აირჩიეს, არამედ ამ თანამდებობაზე დატოვეს.

– ყრილობაზე გენერალური მდივანი არ არჩეულა. შესაბამისად, არც თანხმობა იყო საჭირო. ყრილობამ, უბრალოდ, ძალაში დატოვა არსებული სტატუს კვო და არ გადააყენა მოქმედი გენერალური მდივანი, რადგან ეს იქნებოდა ივანიშვილის მიერ თავსმოხვეული თამაშის წესების მიღება, რასაც არ ვაპირებდით და არც მომავალში ვაპირებთ. მეტიც, ეს გაუგებარი იქნებოდა საზოგადოებისთვის, მით უფრო იმ პირობებში, როცა ვანო მერაბიშვილს არცერთხელ საჯაროდ არ დაუფიქსირებია თავისი პოზიცია პარტიის შიგნით მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

ბუნებრივია, როცა ეს პოზიცია დაფიქსირდება, მას პატივს ვცემთ. ნაციონალური მოძრაობა ივანიშვილი არ არის, რომ საკუთარი ნების წინააღმდეგ, ციხისა თუ მოცემულობის ტყვეობაში ამყოფოს ადამიანები, – ასეთ განმარტებას აკეთებს ფეისბუქის საკუთარ გვერდზე ბიბილაშვილი.

მერაბიშვილთან დაკავშირებით კიდევ ერთ განცხადებას აკეთებს მისი ადვოკატი, დეპუტატი ოთარ კახიძე. მისი თქმით, მერაბიშვილი პოლიტიკურ ბატალიებში ჩართვას არ აპირებს. დეპუტატი იმასაც ამბობს, რომ მერაბიშვილს პოლიტიკური ერთიანობის შენარჩუნების სურვილი აქვს.

– მან განაცხადა, რომ შეთანხმებული არ იყო მასთან მისი გენერალურ მდივნად არჩევა ან გენერალურ მდივნად დატოვება, როგორც ამას განმარტავენ. სხვას მე ვერაფერს დავამატებ, რადგან არ შეიძლება პოლიტიკური პატიმრის სახელით სპეკულირება. როცა ვანო მერაბიშვილი თავად გადაწყვეტს, მაშინ გააკეთებს შესაბამის განცხადებას, – ამბობს კახიძე.



◆ ◆ ◆

მართალია, კახიძე ამბობს, რომ მერაბიშვილი დაპირისპირებაში ჩართვას არ აპირებს, მაგრამ მის გადასაბირებლად „ევროპული საქართველოც“ სერიოზულად მუშაობს.

მის მიმართ ბიძინა ივანიშვილიც დიდი სიმპათიით არის განმსჭვალული. ალბათ, ყველას ახსოვს, 2012 წლის არჩევნებამდე და მის შემდეგაც ივანიშვილი ყოველთვის ამბობდა, რომ ვანო კარგი მენეჯერი იყო.

# დავით ბერძენიშვილი თამარ კორძაიამ შეცვალა

საქართველოს რესპუბლიკურ პარტიას ახალი პოლიტიკური მდივანი ჰყავს. პარტიის ეროვნულმა კომიტეტმა პოლიტიკურ მდივნად თამარ კორძაია აირჩია.

მანამდე ამ თანამდებობას დავით ბერძენიშვილი იკავებდა. აღმასრულებელ სამდივნოში ცვლილებებს ეროვნული კომიტეტის წევრებმა 21 იანვარს უყარეს კენჭი.





რესპუბლიკური პარტიის წესდების მიხედვით, პოლიტიკური მდივანი თავმჯდომარის შემდეგ პარტიაში მეორე თანამდებობის პირია.

**ნიუპოსტი**

# სააკაშვილი: „ფოტოები ტრამპის ინაუგურაციიდან გამოსვლის დროს გადამიღეს“



ზოგიერთმა უკრაინულმა გამოცემამ გაავრცელა მიხეილ სააკაშვილის ფოტო და ინფორმაცია, სადაც ნათქვამია, რომ ოდესის ოლქის ექსგუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი დონალდ ტრამპის დაცვამ ინაუგურაციაზე არ შეუშვა.

სააკაშვილი კი ამტკიცებს, რომ მედიით გავრცელებული ფოტოები დონალდ ტრამპის ინაუგურაციიდან გამოსვლის დროს არის გადაღებული.

როგორც სააკაშვილი ფეისბუქში წერს, მან და მისმა გუნდმა შესთავაზა უკრაინულ არხებს, გაეშუქებინათ დონალდ ტრამპის ინაუგურაციაზე მისი დასწრება, თუმცა უარი მიიღეს.

– სამაგიეროდ, ახდენენ ტირაჟირებას ფოტოების, რომლებიც გადაღებულია რუსეთთან კავშირში მყოფი ადამიანების მიერ, სადაც მე, ინაუგურაციის ცერემონიიდან გამომავალი, ველოდები ჩემი ჯგუფის დანარჩენ წევრებს.

უნიჭოები დარჩებიან უნიჭოებად. მე არაფერი დასამტკიცებელი არ მაქვს. ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში მქონდა კონტაქტი ტრამპის გუნდთან, ბევრ მათგანს მე ვიცნობ პირადად და ვაპირებ მჭიდრო თანამშრომლობას უკრაინის მეგობრებთან, რომლებიც არიან აშშ-ის ადმინისტრაციაში, რა ინფორმაციაც არ უნდა გაავრცელონ ჩვენმა მტრებმა.

ხან ჩუმად გადამიღებენ აეროპორტში, ხან ცერემონიიდან გამოსულს და შემდეგ გაავრცელებენ ათასგვარ სისულელეს. ეს ყველაფერი ადასტურებს იმას, რომ ჩვენ სწორ გზაზე ვდგავართ და ჩვენს მტრებს ჩვენი ეშინიათ.

უმჯობესი იქნება, მათ საკუთარი რესურსი უკრაინის საერთაშორისო პოზიციების განმტკიცებაში დახარჯონ და არა ჩემს დევნაში აეროპორტებსა თუ ტუალეტებში, – წერს მიხეილ სააკაშვილი.

**ინტერპრესნიუსი**

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ღია წერილი

## პრემიერ–მინისტრს, ბატონ გიორგი კვირიკაშვილს
## პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ ირაკლი კობახიძეს
## საქართველოს მხსნელს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს

„ნაცების" მიმართ ზიზღმა გვიბიძგა, „ოცნებისათვის" მიგვეცა ხმა იმედით, რომ იქნებოდა შეღავათიანი სესხები, აღდგებოდა მეწარმეობა, დასაქმდებოდა ხალხი, გაიზრდებოდა ექსპორტი, გაცოცხლდებოდა ეკონომიკა! სამწუხაროდ, ბანკები ახლოს არავის იკარებენ! რითაც დაეცა ხალხის მსყიდველობითი უნარი, შეიქმნა ფულის დეფიციტი, დაირღვა ეკონომიკის ბალანსი, გაკუპონდა ლარი, ინფლიაციით განახევრდა პენსია-ხელფასები, შემცირდა საქონელბრუნვა, იკლო ბიუჯეტის შენატანებმა და განიცდის სეკვესტრს. პროგრამით **„აწარმოე საქართველოში"** მოტყუებული საწარმოები კოტრდებიან, მეორდება აფხაზეთში დაშვებული შეცდომა, აჭარაში იზრდება თურქული ექსპანსია და გვავიწროებენ ადგილობრივ მეწარმეებს (SOS) !!!...

**ბატონო პრემიერო!**

ახლობლებით შექმნილი უსუსური მთავრობა არ იყენებს სახელმწიფო ბერკეტებს (ალბათ კორუფციის გამო), არ კრძალავს უკანონო გამდიდრების მანიით შეპყრობილი ბანკების უკან მდგარი **ლომბარდების 36-48 %-იან სესხებს და იძარცვება ერი!...** „ოცნების" უკვე აღარავის სჯერა, **ეკონომიკა თავზე გვენგრევა** და ქვეყანა ახალი რევოლუციის ზღვარზეა!!!.. რამაც გააჩერა ჩვენი ქარხანაც (ვებსაიტი:www.eurocapitalinvest.ge), უმუშევარი დარჩა 46 პირი, ვერ გაიშვა მე-2 საამქრო და კიდევ ვერ დასაქმდა 27 კაცი. აქვე დაზარალდა ათასობით ის ოჯახიც, ვისგანაც გადასამუშავებლად ველარ ვიყიდეთ 10 000 ტონა ენესის ტიპის მანდარინი და არასტანდარტული ხილი. ბიუჯეტში ზედმეტი გვაქვს შეტანილი 57 000 ლარი **დღგ, წლიური ბრუნვა თითქმის 2 000 000 ლარი გვაქვს და 150 000დოლარი სესხი არავინ მოგვცა, რომ ექსპორტში გაგვეტანა** წარმოებული 663 000 დოლარის **ისეთი პროდუქცია, რომელიც** მაღალი ხარისხის გამო, ოქროს მედალზეა წარდგენილი.... თუ ბანკების საქმეში არ ერევით, რატომ მიიღეთ მატყუარა პროგრამა, რატომ არ ქმნით სახელმწიფო ბანკს, რომელიც მოემსახურება საბიუჯეტო სფეროს და მიღებული შემოსავლებით სახელმწიფო ბანკი დააფინანსებდა – გადაარჩენდა მეწარმეობას?!...

**ბატონო გიორგი, ბატონო ირაკლი, ბატონო ბიძინა,**

**რას კარგავს ან სადაა ბანკის რისკი, როცა მეწარმე 300 000 დოლარ სესხში იპოთეკით აძლევს 1 000 000 დოლარის ქონებას?! ბანკი რატო არ გვაძლევს სესხს მეწარმეს? როდემდე უნდა იყოს ეს ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკა?! დანაშაულზე მეტია, როცა საქართველოს ბანკი ან „ქართუ" (ალბათ კორუფციის გამო) 8 თვე დოკუმენტებს აგროვებს, მეწარმეს ბოლშევიკურ დაკითხვას უწყობს, ახალ ქარხანას მომგებიან ბალანსს სთხოვს და სესხს არ აძლევს** (მეწარმე ხომ მოწყალებას ან საჩუქარს არ სთხოვს?!). ბანკი არ ითვალისწინებს, რომ ახალ ქარხანას 2 წელი მოგება ვერ ექნება, რადგან გერმანული დანადგარების, შენობის, მონტაჟის, ტარა-ნედლეულის ხარჯების დაფარვას დრო უნდა. იპოთეკურ სესხსაც არ იძლევა, აჩერებს ქარხანას და ათასობით ტონა მოწეულ ხილს ულპობს მოსახლეობას!... ვერ ხვდებით, რომ ფულის დეფიციტი ანგრევს ეკონომიკას?!...

**შეღავათიანი სესხებით ისე გაძლიერდა თურქეთი, რომ მსოფლიოს ბაზარი დაიპყრო! აჭარაში, თითქმის ყველა მშენებლობა და მაღაზიაც მათია... თუ ასე გაგრძელდა, ალბათ საზღვარიც ხაშურში გავა!.. სავალუტო ფონდის და საერთაშორისო ბანკის მიერ მართვადი ჩვენი მთავრობა, ზღუდავს სესხებს, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, აუფასურებს ლარს, ზრდის კომუნალურ გადასახადებს და არათანაბარ გარემოებაში აყენებს ქვეყნის მეწარმეობას! რის გამოც, ჭარბი რესურსების მქონე საქართველო სიღარიბის ჭაობშია... სესხების გარეშე ვერ იქმნება საწარმოები, ახალი სამუშაო ადგილები და უმუშევრობა ზენიტშია! ბატონო პრემიერო, რაში გვჭირდება ისეთი „მეგობარი" ამერიკა, ევროპა, სავალუტო ფონდი ან საერთაშორისო ბანკი, ვინც გვადებს ვალებს, კრძალავს მეწარმეებზე სესხების გაცემას, გვიხრჩობს ეკონომიკას, გვამტერებს რუსეთთან, რომ აფხაზეთი და ოსეთი ვერ დავიბრუნოთ, გვიღატაკებს ქვეყანას და გვიუარესებს ცხოვრებას?!...**

**უდავოა, რომ ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა იხსნა საქართველო მოძალადე – კრიმინალი ნაცებისაგან, უანგაროდ გაიღო მილიარდები და შეგვინარჩუნა კულტურული მემკვიდრეობაც. შედეგი? თუ ადრე სააკაშვილი გვძარცვავდა, ახლა ბანკების უკან მდგარი ლომბარდები გვძარცვავენ... ვუის გავეყარეთ და ვაის შევეყარეთ!.. უმუშევარი ხალხი მასობრივად ტოვებს ქვეყანას და ივანიშვილის ღვაწლის დამფასებელი აღარავინ რჩება... შეღავათიანი სესხები რომ ყოფილიყო, ყველა დასაქმდებოდა, ვალები აღარავის ექნებოდა და ევრაზიის ბაზარიც დაპყრობილი გვექნებოდა!... ყოველ ოჯახში, წმინდა გიორგის ხატის გვერდით, ბატონ ბიძინას სურათს დადებდნენ და ერი მასზე ილოცებდა. ახლა, თქვენს გამო, ბატონ ბიძინას ბრალდება ყველაფერი, ზოგი მზადაა თოხით აღუდგეს მთავრობას, ზოგიც წყევლა-კრულვით ტოვებს ქვეყანას, მცირდება შობადობა და ერის გენოფონდს საფრთხე ემუქრება!... ჭორი დადის, რომ იმ მეწარმეებს, ვინც რუსეთთან ვაჭრობს, გერმანიის და აშშ–ს საელჩოები ბანკების მეშვეობით ბლოკავენო... თუ ეს ასეა, ეს ჩვენს შიდა საქმეებში უხეში ჩარევა და ქვეყნის კოლონიად გადაქცევის მცდელობაა. ამდენად, ასეთმა საელჩოებმა უნდა დატოვონ საქართველო, რადგან უსესხოდ გვიძვირდება წარმოება და ამ ხრიკებით მათ ბაზარზე არ გვიშვებენ (რომ კონკურენცია არ გავუწიოთ)... მათ გამო ვკარგავთ სასიცოცხლო მნიშვნელობის რუსულ ბაზარსაც, ასეთმა მიდგომამ ლარიც გააკუპონა და ეკონომიკაც თავზე დაგვანგრია?!...**

**ბატონო პრემიერო, საით მიგყავთ ქვეყანა, თქვენმა შვილებმა აქ არ უნდა იცხოვრონ?! ნაცებსაც ეგონათ, მუდმივი იქნებოდნენ!.. მჯობნის მჯობნი არ ილევა და კუთხის გალატაკებით, საქართველოსაგან აჭარის ჩამოგლეჯის მცდელობა არავის ეპატიება!!!**

ვითხოვთ, აუდიტი შევიდეს ბანკებში და დადგინდეს: 1) ვის რას ვუშავებთ, რომ სესხის არ მოცემით ჩაგვაყენეს არათანაბარ გარემოებაში და გაგვიჩერეს ქარხანა!.. 2) რატომ გვავიწროვებენ აჭარის მეწარმეებს?!.. 3) ლიცენზიები ჩამოერთვას ყველა იმ ბანკს, ვინც გვავიწროვებს აჭარის მეწარმეებს და ბლოკავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას!.. თუ დროული წერილობითი პასუხი არ გვექნა, **მთავრობის მიმართ სარჩელს აღვძრავთ სასამართლოში, მოთხოვნით, რომ აგვინაზღაურდეს, არჩევნების მოგების მიზნით მიღებული მატყუარა** პროგრამით „აწარმოე საქართველოში", ჩვენზე მოყენებული ზიანი და პირადად გავუძღვები დაზარალებულ ხალხს, რომ დავიწყოთ მასშტაბიანი მშვიდობიანი მიტინგები, მთავრობის გადადგომამდე!

**პატივისცემით, ლევან ქიძინიძე**

ვებსაიტი:www.eurocapitalinvest.ge
ტელ. +9955 9960 1544 ელ.ფოსტა: infoeci7@mail.ru

# ლია მუხაშავრია: „ჩვენს სასამართლოში დამოუკიდებელი ინსპექტორი აუცილებელია"

ნათია ხურცილავა

ადამიანის უფლებათა დამცველი, ადვოკატი ლია მუხაშავრია, „ახალ თაობასთან" ინტერვიუში სასამართლო სისტემის რეფორმირებაზე საუბრობს.

***– ქალბატონო ლია, სასამართლო სისტემის მესამე ტალღასთან დაკავშირებით მიღებულ კანონპროექტს, შესაძლებელია, პრეზიდენტმა ვეტო დაადოს. რამდენად არის ადეკვატური მიღებული კანონპროექტი და რას იტყვით მიმდინარე რეფორმაზე?***

– სასამართლოში თუ ვინმე მოხვდება, ის იმ წუთში ხვდება, რომ ძალიან ბევრი რამე შესაცვლელია. სამწუხაროდ, კვლავ არ არის გადაწყვეტილი მოსამართლის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის საკითხი. გადაიდგა ნაბიჯები, მაგრამ ამ რეფორმის მართლა განსახორციელებლად გარკვეული ღონისძიებები კიდევ დარჩა გასატარებელი. სწორედ ამას გულისხმობს პრეზიდენტი, როდესაც უკმაყოფილებას გამოთქვამს.

***– მესამე ტალღის ფარგლებში რას გამოყოფდით, როგორც წინ გადადგმულ ნაბიჯს?***

– საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის დანერგვას. ეს ნამდვილად არის პოზიტიური და დადებითი გავლენა უნდა მოახდინოს. სწორედ ეს სისტემა ემსახურება მოსამართლეთა მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის პრინციპს. ჩვენ კარგად ვიცით, ერთი კატეგორიის



საქმეები როგორ ნაწილდებოდა თავმჯდომარის მიერ ისე, რომ საქმისთვის სასურველ მოსამართლეს დასწეროდა განსახილველად. თუკი ეს სისტემა შეიცვლება და საქმეთა კომპიუტერული განაწილება მოხდება, ასეთი მიკერძოებული ფაქტები არ იქნება და ეს ხელს შეუწყობს სასამართლოს დამოუკიდებლობას, რაც მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის.

საყოველთაო უკმაყოფილების მიზეზი მოსამართლეთა დანიშვნის კრიტერიუმებთან დაკავშირებით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების გადაწყვეტილებებია. მოსამართლეობის კანდიდატებს, რომლებიც იქნებიან დაწუნებულნი, სრულად გასაჩივრების შესაძლებლობა არ აქვთ.

***– იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები აცხადებენ, რომ ბევრი საქმეა თაროზე შემოდებული, რადგან სასამართლოებში საკმარისი მოსამართლეები არ არიან.***

– იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ახლახან 12 მოსამართლე გაამწესა სამიდღემჩიოდ. თუკი არ იკვლევენ კანდიდატის ბიოგრაფიას, მის საქმიანობას, ზედაპირულად მიღებული გადაწყვეტილება უფრო საშიშია, ვიდრე ის, რომ სასამართლოები გადატვირთულია.

სასამართლოების გადატვირთულობას ყველა ვაღიარებთ და ასევე თვალს ვხუჭავთ იმაზე, რომ ყველა სასამართლო არღვევს პროცესუალურ ვადებს. ამისთვის დღეს არავინ ისჯება, რამდენიმე წლის წინ კი ამისთვის შეიძლებოდა, მოსამართლეს სამსახურიც კი დაეკარგა.

როდესაც იუსტიციის უმაღლესი საბჭო თავის გადაწყვეტილებებს ასეთი უსუსური არგუმენტით ამართლებს, რომ მოსამართლეები არ გვყავს და რაც შეიძლება ჩქარა უნდა დავნიშნოთ, ეს არის კატასტროფა მართლმსაჯულების სისტემისთვის. ასეთი წესით დანიშნული მოსამართლეებისგან ვერ მივიღებთ იმ სასამართლოს, რომელიც საზოგადოების ნდობასა და პატივისცემას დაიმსახურებს.

***– როგორ შეაფასებთ სასამართლოს სისტემაში დამოუკიდებელი ინსპექტორის არსებობას, რომლის ფუნქციაც ერთგვარი რევიზია იქნება?***

– იუსტიციის უმაღლესი საბჭო არის ორგანო, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლეთა დისციპლინური დევნის შესახებ. ეს გადაწყვეტილებები უფრო მკაფიო და სანდო რომ იყოს, სწორედ ამისთვის გახდა საჭირო კიდევ ერთი დამოუკიდებელი მექანიზმი. იუსტიციის უმაღლესი საბჭო მიუკერძოებელი, პატიოსანი და სანდო რომ იყოს, ინსპექტორის ინსტიტუტი საერთოდ არ იქნებოდა საჭირო.

ლევან მურუსიძემ მოსამართლეებს პირობა მისცა, რომ თუ მას აირჩევდნენ, დისციპლინური დევნა არცერთ მოსამართლეს არ შეეხებოდა. მურუსიძე ამ პირობას დღემდე ასრულებს. ეს უკანონო დაპირება იყო. ამ პირობებში აუცილებელი ხდება მეხუთე ბორბლის გამოგონება, რომ ეს ურემი არ წაიქცეს და რახრახით მაინც მიაღწიოს რაღაც მანძილამდე. თუ მოსამართლე ისეთია, როგორიც მართლა უნდა იყოს, მაშინ მას კონტროლი არ სჭირდება, მაგრამ მანტია დღეს იმ ადამიანებსაც აცვიათ, რომლებიც სულ რამდენიმე წლის წინ აშკარა პოლიტიკურ დავალებებს ასრულებდნენ. რამდენად იმუშავებს ეს ინსტიტუტი, დამოკიდებული იქნება ბევრ რამეზე, მათ შორის პერსონალიებზეც.

***– ქალბატონო ლია, მესამე ტალღის ფარგლებში უარი ითქვა სასამართლოს თავმჯდომარეების არჩევაზე. ეს იქნებოდა კიდევ ერთი ნაბიჯი სასამართლოს დამოუკიდებლობისკენ?***

– რა თქმა უნდა, იქნებოდა. მოსამართლეებს თუ ვანდობთ ისეთ მნიშვნელოვან ფუნქციას, რომ მათ გადაწყვიტონ ადამიანების ბედი, ჩვენი საქმეები, მაშინ ვანდოთ ის ფუნქციაც, რომ თავიანთ რიგებში თავმჯდომარედ საუკეთესო აირჩიონ. ეს ერთგვარი პასუხისმგებლობაც იქნებოდა და მათ შეეძლებოდათ, თუ თავმჯდომარე ვერ გაამართლებდა, პასუხიც მოეთხოვათ.

დამოუკიდებლობის განმტკიცებას უნდა შეეწყოს ხელი და არა პირიქით, მაგრამ, როგორც ჩანს, ხელისუფლებას ჯერ კიდევ კარგად არ აქვს გააზრებული სასამართლოს მნიშვნელობა და მისი დამოუკიდებლობის აუცილებლობა, რაც ნამდვილად არ არის კარგი ქვეყნის საწინდარი.

# „გაზპრომთან ხელშეკრულების გაფორმებაში ბერლუსკონის ხელი ურევია"

## მამუკა გვაძაბია: „ეს ინფორმაცია რუსული ოპოზიციისგან მაქვს"

გულიკო ბალაძე

დამოუკიდებელი ექსპერტი მამუკა გვაძაბია „ახალ თაობასთან" აცხადებს, რომ მოსკოვიდან რუსული ოპოზიციის წარმომადგენლებისგან გაზპრომთან გაფორმებულ თუ გასაფორმებელ ხელშეკრულებაზე შეტყობინება მიიღო.

– გაზპრომთან გაფორმებული თუ გასაფორმებელი, ხელმოწერილი თუ ხელმოსაწერი ხელშეკრულება ენერგეტიკული უსაფრთხოების თვალსაზრისით საქართველოსთვის უკან გადადგმული ნაბიჯია, – აცხადებს მამუკა გვაძაბია.

***– ეკონომიკის მინისტრმა განაცხადა, რომ ამ ხელშეკრულებით, მართალია, გაზის მაგივრად ფულს გვიხდიან, მაგრამ ვთავისუფლდებით იმ ვალდებულებისგან, რომ მათგან შევისყიდოთ გაზი. თუ ეს ასეა, მაშინ რატომ არის ახლანდელი ვარიანტი უკან გადადგმული ნაბიჯი?***

– მე ეკონომიკის მინისტრის განცხადებაში ეჭვი მეპარება. საეჭვოდ იქცევიან იმიტომ, რომ ასეთი სახელმწიფო დონის ხელშეკრულების გაფორმება არის უსაფრთხოების, მათ შორის, ენერგეტიკული, რეგიონული და ყველანაირი უსაფრთხოების საკითხი.

რუსეთი დიდი ხანია გაზსადენის ხელში ჩაგდებას ცდილობს. ამ გაზსადენის ერთადერთი მონაკვეთი, რომელსაც ვერ აკონტროლებს, საქართველოს მონაკვეთია. როდესაც ენერგოგიგანტთან ხელშეკრულებაზეა ლაპარაკი, ხელისუფლება ასეთ მნიშვნელოვან საკითხს არ უნდა ასაიდუმლოებდეს. შექმნილი სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალია, საქართველომ საერთოდ უარი თქვას 10 თუ 12% გაზზე, როდესაც იგი ავსებდა საქართველოს ენერგოსისტემას გაზპრომის გაზით. ჩვენ უარი უნდა ვთქვათ გაზპრომის უხარისხო გაზზე და მივმართოთ აზერბაიჯანის მხარეს დეფიციტის შესავსებად.

***– აზერბაიჯანთან მოლაპარაკებებს, ალბათ, აწარმოებენ.***

– მეორე საკითხია ის, რომ თვითონ აზერბაიჯანისგან რუსეთმა დაიწყო გაზის შესყიდვა. აქ ინტერესთა კონფლიქტი შეიძლება წარმოიშვას. ეჭვი არ მეპარება, რომ ენერგეტიკული უსაფრთხოების თვალსაზრისით ამგვარი შეთანხმებები საქართველოსთვის მომგებიანი არ არის. ამას წინა ხელისუფლების დროსაც ვამბობდი. რამდენიმე საფინანსო სტრუქტურა დავასახელე, რომლის შემოსვლა საქართველოში სარისკო იყო.

***– მაგალითად?***

– მაგალითად, ვნეშტორგბანკი, ე.წ. ვითიბი ბანკი, რომელიც 100%-იანი სახელმწიფო კაპიტალითაა დაფინანსებული და მას კრემლი აკონტროლებს. ასეთი საფინანსო სტრუქტურებისა და ნებისმიერი საფინანსო კაპიტალის შემოსვლა საქართველოში სახიფათოა.

***– რუსეთიდან საფინანსო კაპიტალის შემოსვლას რატომ მიიჩნევთ სახიფათოდ?***



– არსად კაპიტალი ისე პოლიტიზებული არ არის, როგორც რუსეთში. რუსეთიდან საქართველოში შემოსული ნებისმიერი სტრუქტურა (მათ შორის, ბიზნესსტრუქტურა) დაზვერვით სამუშაოებს ასრულებს რუსეთის სახელმწიფოს სასარგებლოდ.

რუსეთი ჩვენს გაზსადენს რომ დაეპატრონოს, შეიძლება თვითონ მოაწყოს დივერსიები და საქართველოს მხარეს დააბრალოს, შემდეგ კი გაზსადენის დაცვის მოტივით შეიარაღებუ-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# კახა კუკავა: „ივანიშვილს საქართველოში თურქმენეთის აშენება უნდა“

ნონა ცაბაძე








## „გაზპრომთან კონტრაქტში კორუფციის ნიშნებია“

– არასაპარლამენტო ოპოზიციისთვის ხელისუფლებამ ჩაკეტა საკონსტიტუციო კომისია, ამიტომ არასაპარლამენტო პარტიები ვიკრიბებით და ვმსჯელობთ, რა შეიძლება გაკეთდეს იმისთვის, რომ საქართველო არ ჩამოყალიბდეს, როგორც თურქმენეთი, ვგულისხმობ პოლიტიკურ და საარჩევნო სისტემას, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა.

***– საკონსტიტუციო ცვლილებებს აპროტესტებთ?***

– დიახ, დღეს ჩვენი ქვეყანა შუააზიური ტიპის ავტორიტარიზმისკენ მიექანება. საარჩევნო სისტემას, საპარლამენტო არჩევნების სისტემას კონსტიტუცია განსაზღვრავს. ხელისუფლების სურვილია, ქვეყანაში დაამყაროს სრული ავტორიტარიზმი, პრეზიდენტი არ იყოს პირდაპირი წესით არჩეული, მაჟორიტარები შეინარჩუნოს, ორი მესამედი ჰყავდეს და ჰქონდეს ისეთივე მოდელი და ჰყავდეს ისეთივე ხელისუფლება, როგორიც არის უზბეკეთში ან თურქმენეთში. ივანიშვილის სურვილი, რომ საქართველოში ააშენოს თურქმენეთი, ადვილი ამოსაცნობია.

***– გასული კვირის ბოლოს საქართველოს ვენეციის კომისიის თავმჯდომარე სტუმრობდა, რომელიც აცხადებს, რომ ჩვენი კონსტიტუცია ცოტა დასახვეწია და კატასტროფა არ ხდება. ასევე მოვისმინეთ პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება, რომ თუ ვენეციის კომისიის მხრიდან იქნება უარყოფითი შეფასება, ასეთი ცვლილება კონსტიტუციაში არ შევა. ამ ფონზე ოპოზიცია რატომ მიიჩნევს, რომ აპოკალიფსი ხდება?***

– დიახ, ეს გასაგებია. ხელისუფლებას აქვს იმის იმედი, რომ კოსმეტიკურ ცვლილებებს ვენეციის კომისია არ დაიწუნებს. საერთოდ, ვენეციის კომისიას საქართველოში იცნობენ ყველაზე კარგად, თორემ ევროპის ამომრჩეველმა საერთოდ არ იცის, ვენეციის კომისია რა არის.

***– რატომ, არ ცნობენ?***

– ვენეციის კომისია არ არის ისეთი ძალაუფლების მქონე ორგანო, რომ ის განსაზღვრავდეს საქართველოში ან სხვაგან პოლიტიკური პროცესების განვითარებას. ვენეციის კომისია არის ევროპელი იურისტებისგან შექმნილი საკონსტიტუციო ორგანო, რომელიც არასდროს არაფერს იწუნებს და იწონებს. ის ამბობს თავის აზრს, რომ ასე უკეთესი იქნებოდა.

***– ანუ უარყოფით დასკვნას არ უნდა ველოდოთ?***

– თუ სიკვდილით დასჯა არ აღადგინეს ან რამე სასწაული არ ჩაიდინეს, ვენეციის კომისია უარყოფით დასკვნას არ დაწერს. არც შევარდნაძის დროს დაუწერია, არც სააკაშვილის დროს და არც დღეს დაწერს. მას შეუძლია გირჩიოს, თუ დემოკრატია გინდა, ასე უკეთესი იქნებოდა. ასე რომ, ვენეციის კომისია ამ პროცესში რაიმე გარდამტეხ ფუნქციას ვერ შეასრულებს.

***– ვინ უნდა შეასრულოს გარდამტეხი ფუნქცია?***

– მხოლოდ ქვეყნის შიგნით მომხდარმა პოლიტიკურმა ძვრებმა შეიძლება იქონიოს ზეგავლენა.

***– უნდა ველოდოთ პოლიტიკურ ძვრებს? არსად ჩანს არასაპარლამენტო ოპოზიცია. ოპოზიციური სპექტრი მთლიანად იყიდა და ჯიბეში უზის ივანიშვილს?***

– თითქმის მთლიანად იყიდა! სწორი იქნება, ასე თუ ვიტყვით, რადგან იყიდა, „თავისუფალი საქართველოს“ გარდა.

***– თქვენ არ გაყიდულხართ ივანიშვილის ფულზე?***

– „თავისუფალი საქართველო“ არის ერთადერთი თუ არა თითქმის ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელიც ივანიშვილთან არ ყოფილა არანაირ გარიგებაში მისი მმართველობის არცერთ ეტაპზე. სხვა პოლიტიკური პარტიების დიდი ნაწილი, რომლებიც დღეს ოპოზიციური რიტორიკით გამოირჩევიან, ჩვენ გვახსოვს, რომ 2012-ში, 13-შიც, 14-შიც, 15-შიც და ზოგი 2016-ის პირველ ნახევარშიც კი იყო საკმარისად ლოიალური ხელისუფლების მიმართ და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ივანიშვილმა გამოიყენა და გადააგდო, დაეტყო მათ რიტორიკას რადიკალური აქცენტები.

„თავისუფალი საქართველო“ კი ივანიშვილთან არასდროს ყოფილა არანაირ კულუარულ პროცესში. შემიძლია დავიფიცო, რომ მას არასდროს შევხვედრივარ და არც ვაპირებ. მე ვფიქრობ, საზოგადოებაშიც უნდა დაიწყოს პროცესი.

***– რა პროცესს გულისხმობთ?***

– ოპოზიციას რომ აკრიტიკებენ, ეს სამართლიანია, რადგან ოპოზიციამ ნამდვილად ვერ შეძლო სწორი აქცენტების გაკეთება ამ არჩევნებზე, მაგრამ საზოგადოების პასუხისმგებლობის საკითხიც დგას.

***– რა კუთხით?***

– ჩვენი მოსახლეობის 80-90%-მა აირჩია სწორედ ის ხელისუფლებები, რომლებიც აირჩია. ყველა მთავრობა რომ მოსწონს, ეგ ამომრჩეველი როგორია, კარგი ამომრჩეველია?! ანუ საზოგადოებაშიც არის პრობლემა. ქვეყანაში მთავრობა მუდმივად 80%-ს რომ იღებს, ეს მხოლოდ ოპოზიციის ბრალი არ არის.

***– ყველა თანხმდება იმაზე, რომ დღეს ოპოზიცია ძალიან პასიურია. ოპოზიციური პარტიები მხოლოდ იმისთვის მონაწილეობენ არჩევნებში, რომ მილიონლარიანი დაფინანსება მოიპოვონ?***

– გეთანხმებით ამაში, მაგრამ პარტიები ისეთებიც არიან და ასეთებიც. პატიოსანი პარტიები რომ იჩაგრებიან და კორუმპირებულები ჯეჯილობენ, ეგ ამომრჩევლის ბრალია თუ პარტიების?! ამომრჩეველი თან ამას ამჩნევს და ხშირად საყვედურობს, კორუმპირებული ხარო, მაგრამ არჩევნებზე ვინც 20 ლარს დაურიგებს, იმას მისცემს ხმას!

ჩვენ არასდროს დაგვირიგებია ეს 20 ლარი და მოგვცენ ხმა! რატომ არ გვაძლევენ?! ამ შემთხვევაში აღარ იქნება პოლიტიკა კორუმპირებული! თვითონ ირჩევენ ქოცებს, თვითონ ირჩევენ ნაცებს! თვითონ ირჩევდნენ ოპერის მომღერალ ბურჭულაძეს. იმის გამო, რომ ფული დაარიგა, დიდი რაოდენობის ხმებიც აიღო და ამ ამომრჩეველს ნამდვილად არ აქვს მორალური უფლება, მთელი პასუხისმგებლობა პოლიტიკურ სპექტრს აჰკიდოს!

***– თუ ოპოზიცია კორუმპირებულია, საზოგადოება პასიურია, მაშინ როგორ აპირებთ ბრძოლას ხელისუფლების შესაცვლელად?***

– ხელისუფლების შეცვლასთან დაკავშირებით პროგნოზის გაკეთება ძალიან მარტივია. სულ რევოლუციები არ ხდება?! ავტორიტარული რეჟიმი, რომელიც ხალხს ვერ აჭმევს, ძალიან მალე დამთავრდება, დაემხობა! ივანიშვილზე გამოცხადდება ძებნა, ხოლო „ქართული ოცნების“ წევრები მომავალ ხელისუფლებაში პორტირდებიან. დაახლოებით ერთ ან ორ წელიწადში ზუსტად ასე განვითარდება მოვლენები საქართველოში, თუმცა, რაზეც არ არის პასუხი და რაც არის მთავარი საკითხი, არის ის, რომ მერე რა იქნება?! შეიცვლება მართვის სტილი და პოლიტიკური ელიტა თუ ისევ იგივე ხალხი მოგვევლინება, თუნდაც ისე, ბოკერია რომ გამოეყო სააკაშვილს. ახლა კალაძე შექმნის ახალ ოპოზიციას, რომელიც დაამხობს ივანიშვილს და იმავე გზას გააგრძელებს.

***– ანუ საშველი არ არის?***

– მე ძალიან კარგად ვიცნობ პოლიტიკურ სამზარეულოს. დღეს ყველა პოლიტიკური პარტია, ჩვენ გარდა, ბოკერიაც, სააკაშვილიც, ივანიშვილიც და კიდევ სხვებიც, ყველას ვერ დავასახელებ, თავს დამესხმებიან. ყველა გეგმავს არჩევნებს ფულის მიხედვით. რამდენი ფულიც ექნებათ, იმდენ ხმას იყიდიან. კითხვა ჩნდება, აქვს ქართველ საზოგადოებას დარჩენილი იმის უნარი და რესურსი, რომ უფულო პარტიას ხმები მისცენ?! ბოლო პარტია, რომელმაც საქართველოში შეძლო და პოლიტიკური შედეგი აჩვენა, იყო ზვიად გამსახურდია! ყველა სხვა პოლიტიკური ძალა დაფინანსებული იყო.

***– თქვენ კალაძე ახსენეთ და საკმაოდ დიდი ვნებათაღელვაა საზოგადოებაში გაზპრომთან დაკავშირებით, უმრავლესობა კი აცხადებს, რომ ამ თემაზე ოპოზიციასთან დებატებს არ აპირებს.***

– ეს ჩვეულებრივი ამბავია. ყველა განათლებულმა ადამიანმა იცის, რომ ნავთობისა და გაზის მსხვილი კომპანიები ყიდულობენ საქართველოსნაირ პატარა ქვეყნებს. საქართველომ, როგორც ექსპერტები ამბობენ, ამ კონტრაქტით ერთი მილიარდი დოლარით იზარალა. კალაძისა ან ივანიშვილისთვის რომ მიეცათ 200-300 მილიონი, ამით ორივე მხარე მოგებული დარჩა. ივანიშვილი და კალაძეც მოგებული არიან, ჯიბე გაისქელეს და გაზპრომიც მოგებულია, 700 მილიონის ეკონომიას აკეთებს. სხვა ახსნა ამ კონტრაქტს არ აქვს!

***– თქვენ ამბობთ, რომ ეს კონტრაქტი ფულზე გაიყიდა და კორუფციასთან გვაქვს საქმე?***

– სხვა ახსნა, უბრალოდ, არ არის! მაშინ თქვან, რატომ ასაიდუმლოებენ. როდესაც მთავრობა ქვეყნისთვის წამგებიან ნაბიჯზე მიდის, თან ამას ასაიდუმლოებს, რომელ ქვეყანასაც უნდა შეეხებოდეს, ეს ასიდან ას შემთხვევაში კორუფციაა!

---

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ლი ძალები შემოიყვანოს. ამგვარი რამ არ მომხდარა თუ რა? ამიტომ არის წამგებიანი რუსეთთან ასეთი ხელშეკრულების გაფორმება, მათ შორის ხელისუფლებისთვის.

***– მთავარია, გაზსადენი არ გაიყიდოს და მას რუსეთი არ დაეპატრონოს.***

– რა თქმა უნდა. ამ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა გადაწყვეტილი იყო არჩევნებამდე, მაგრამ, პოლიტიკური მოსაზრების გამო, მხოლოდ ახლა გახდა ცნობილი. მანამდე რუსეთის მხარესთან კულუარული მოლაპარაკებები იყო.

***– რუსეთს, ალბათ, გარკვეული პირობებიც ჰქონდა. როგორ ფიქრობთ, რა მოთხოვნა ექნებოდა?***

– არასერიოზული იქნებოდა, ახლა მარჩიელობა რომ დავიწყო. ამიტომ ვამბობ, რომ დოკუმენტი უნდა გასაჯაროვდეს. მე, პირადად, მაქვს დიდი კითხვის ნიშნები, როდესაც საკითხი გაზპრომთან ხელშეკრულების გაფორმებას ეხება.

***– რა კითხვები გაქვთ?***

– როგორც რუსეთიდან ოპოზიციონერებმა მომაწოდეს ინფორმაცია, გაზპრომთან ხელშეკრულების გაფორმებაში ბერლუსკონის ხელიც ურევია.

***– ოპოზიციონერმა პოლიტიკოსებმა საიდან იციან, ბერლუსკონის ხელი როგორ ურევია საქართველოსთან ხელშეკრულების გაფორმებაში?***

– ეტყობა, იქ არის ინფორმაციის წყაროები. ამას არც შევეკითხები. უბრალოდ, ინფორმაცია არის, რომ ამ ხელშეკრულების დადებაში ჩარეული იყო უშუალოდ ბერლუსკონი თუ არა, მისი გარემოცვა და მისი წრე მაინც, რომლებსაც ძალიან ახლო კონტაქტები აქვთ კახი კალაძესთან.

## „გაზპრომთან ხელშეკრულების გაფორმებაში ბერლუსკონის ხელი ურევია“



***– რა ინტერესი ჰქონდა ბერლუსკონის?***

– ამ სიტუაციაში უშუალოდ ბერლუსკონის ინტერესზე ვერაფერს გეტყვით. ის, უბრალოდ, შუამავალი იყო. ბერლუსკონი პუტინის ძმაკაცია, კალაძის ძმაკაცია. მთავარი არ უნდა დაგვავიწყდეს.

***– რა?***

– მთავარი ის არის, რომ გაზპრომის 1%-იანი წილის მფლობელი და კერძო ინვესტორი ბატონი ივანიშვილია.

***– ამაზე ბიძინა ივანიშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, გავყიდეო.***

– ბიძინა ივანიშვილის თქმით, რაც ჰქონდა, ყველაფერი გაყიდა. რომ ჰკითხო, რუსეთში არაფერი აქვს, მაგრამ ეს ცნობილი ფაქტია და ამ დღეებში ეს არავის უარუყვია.

***– რუსეთის სპეცსამსახურებმა სპეციალურად ხომ არ გაუშვეს ინფორმაცია ბერლუსკონის თაობაზე, რომ ეჭვები გაეჩინათ კალაძისა და ამ ხელშეკრულების მიმართ?***

– კალაძის მიმართ დიდი ხანია არის ეჭვები. მოგონილი ხომ არ არის ბერლუსკონისთან ურთიერთობა, პუტინთან ურთიერთობა, კალაძის შეხვედრები გაზპრომის უფროსის მოადგილესთან.

***– შეიძლება, ასეც ვიფიქროთ, მაგრამ, შესაძლოა, ამ შემთხვევაში ბერლუსკონი არაფერ შუაშია და მისგან დამოუკიდებლად მოხდა შეთანხმება, მაგრამ სპეცსამსახურებმა ინფორმაცია გაუშვეს.***

– ბერლუსკონი თავისი ფეხით კი არ დადიოდა. როგორც მე მაქვს ინფორმაცია, ასეა, ვფიქრობ, სწორი ინფორმაციაა. წამოროშილი განცხადება არ გეგონოთ. ეს არის აბსოლუტურად გაცნობიერებული ინფორმაცია და უფლება მაქვს, განვაცხადო.

***– თქვენ მითხარით, ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით მესიჯი გამომიგზავნესო. მოსკოვიდან გამოგიგზავნეს?***

– კი, რუსეთიდან, ოპოზიციის წარმომადგენლებმა, რომლებიც თავის დროზე ხელისუფლების მაღალ ეშელონებში იყვნენ. მე მაქვს კონტაქტები იმ ადამიანებთან და ამას არც ვმალავ, თუმცა ეს არ არის ოფიციალური კონტაქტები. სხვა დროსაც მიმილია მათგან ინფორმაცია და მომავალშიც მივიღებ იმავე ისტორიული ძეგლების ნგრევაზე.

***– გაზის ნაცვლად თანხის გადახდის შემოთავაზებას ქართული მხარე რომ არ დათანხმებოდა რუსეთს, რა ვითარება შეიძლებოდა შექმნილიყო?***

– რა მოცემულობაც გვაქვს, რა დღეშიც დღეს საქართველო იმყოფება დღეს რუსული აგრესიის გამო, ამაზე უარესი რა უნდა იყოს. ამაზე უარესი ატომური ბომბის დარტყმაა.


**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# თომას დე ვაალი: „არა მგონია, საქართველოს მთავრობასა და გაზპრომს შორის პოლიტიკური შეთქმულება მომხდარიყო“

კარნეგის ცენტრის უფროსი მკვლევრის, საქართველოს საკითხების სპეციალისტ თომას დე ვაალის შეფასებით, ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ გაზპრომთან მოლაპარაკებები გაუმჭვირვალედ აწარმოა.

ამის შესახებ „ამერიკის ხმის“ ქართულ რედაქციას თომას დე ვაალმა გაზპრომთან მიღწეული შეთანხმების შესახებ დასმული კითხვის საპასუხოდ განუცხადა.

– თავს შევიკავებდი იმის თქმისგან, რომ ამ შეთანხმებას მნიშვნელოვანი პოლიტიკური დატვირთვა აქვს. გაზპრომი სომხეთს გაზს ყოველთვის საქართველოს გავლით აწვდიდა, სანაცვლოდ კი საქართველოს გატარებული გაზის მცირე ნაწილს აძლევდა. გასათვალისწინებელია, რომ აზერბაიჯანში გაზის წარმოება არ იზრდება. აზერბაიჯანი უფრო მეტ გაზს შიდა ბაზრისკენ მიმართავს, ამიტომ, განსაკუთრებით ზამთარში, საქართველოსთვის ბევრი გაზის მიწოდება არ შეუძლია. ესაა მიზეზი, თუ რატომ უნდა დაელაპარაკოს საქართველო გაზპრომს.

არ ვფიქრობ, რომ საუბარი ცუდია, მაგრამ საქართველოს მთავრობა კრიტიკას სხვა მიზეზით იმსახურებს: ენერგეტიკის მინისტრმა კალაძემ მოლაპარაკებები გაუმჭვირვალედ აწარმოა. საზოგადოება თავს დაცულად ვერ გრძნობს, რადგან პროცესს გამჭვირვალობა აკლდა. საზოგადოების




ნერვიულობა გასაგებია რუსეთისა და ამერიკის შესაძლო ახალი ურთიერთობების კონტექსტში, მაგრამ, არა მგონია, საქართველოს მთავრობასა და გაზპრომს შორის პოლიტიკური შეთქმულება მომხდარიყო, – განაცხადა დე ვაალმა.

# კომპანია „არსი“: „დღეს ჩვენ ვართ ბანკების კონკურენტები და არა პარტნიორები“

– ბანკებისგან არაპროფილური აქტივების გამიჯვნა აუცილებელია. შესაბამისად, ბანკები უნდა დაუბრუნდნენ იმ პოზიციას, როდესაც ბანკი ნებისმიერი ბიზნესისთვის იქნება პარტნიორი და არა კონკურენტი.

ამის შესახებ განცხადებას „მენაშენეთა ასოციაციის“ წარმომადგენელი და სამშენებლო კომპანია „არსის“ გენერალური დირექტორი თორნიკე აბულაძე აკეთებს.

მისი შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულმა ბანკმა საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისთვის არაპროფილური საქმიანობის აკრძალვის გადაწყვეტილება 2014 წლის აგვისტოში მიიღო, პრობლემა დღემდე ვერ მოგვარდა.

კერძოდ, 2014 წელს მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ არაპროფილური აქტივები ბანკებისგან იურიდიულად გაიმიჯნა, თუმცა, რეალურად პრობლემა ვერ მოგვარდა. მიუხედავად ამისა, აბულაძე განმარტავს, რომ მაშინ პრობლემის მოსაგვარებლად პირველი ნაბიჯები გადაიდგა.

– მე ამას შევხედავდი, როგორც პროცესს და არა ერთი დარტყმით



რაღაცის მოგვარებას, – აცხადებს აბულაძე.

მისივე შეფასებით, რომ არ ყოფილიყო 2014 წელს მიღებული ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება, დღეს პარლამენტში ამაზე მუშაობა ვერ დაიწყებოდა.

როგორც დეველოპერი აცხადებს, საქართველოში საბანკო ინსტიტუციები საკმაოდ ძლიერია და სწორი მისამართია ნებისმიერი კომპანიისთვის, რომელიც ფინანსურ სახსრებს ეძებს. მისი თქმით, ბიზნესმენს აქვს იმის შიში, რომ ვისაც შეიძლება ფულზე მიმართო, ის მეორე დღეს შეიძლება, კონკურენტი აღმოჩნდეს.

– რაც აკრძალული არ არის, ის ნებადართულია. შესაბამისად, ნებისმიერ კარგ ბიზნესს აქვს იმის რისკი, რომ ხვალ ბანკმა მას თუ სესხი მისცა, ხელოვნური ბარიერები შეუქმნას და ზეგ უკვე მისი კონკურენტი გახდეს. ამით ეკონომიკის განვითარება ფერხდება, – აცხადებს აბულაძე.

მისი თქმით, ბანკებს აქვთ ფულის დაბანდების პრობლემა, ბიზნესმენებს კი ბანკებთან მისვლა ეშინიათ. აბულაძის განმარტებით, კომპანია „არსი“ „საქართველოს ბანკთან“ ერთად გაიზარდა, თუმცა, ისინი დღეს კონკურენტები გახდნენ.

– ჩვენი კომპანია გაიზარდა საქართველოს ბანკთან ერთად, ჩვენ ერთად ძალიან ბევრი ნაბიჯი გავიარეთ. ბანკები ჩვენი პარტნიორები იყვნენ, მაგრამ რაღაც მომენტში ჩვენი კონკურენტები გახდნენ. დღეს ჩვენ ვართ ბანკების კონკურენტები და არა პარტნიორები. როგორც კი ვიქნებით პარტნიორები, უფრო მეტი შანსი გვექნება, სახელმწიფოსთვის უფრო მეტი რამე გავაკეთოთ, – აცხადებს აბულაძე.

**სოფო ქსოვრელი, კომერსანტ.გე**

# 2016 წელს ბიძინა ივანიშვილმა 111,8 მილიონ დოლარად 3 ნახატი გაყიდა

„ფორბსის“ რუსული გამოცემის ინფორმაციით, გასულ წელს საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა „კრისტის“ აუქციონზე საკუთარი კოლექციიდან ცნობილი მხატვრების 3 ნამუშევარი გაყიდა.

საერთო ჯამში, გაყიდული ნახატების ფასმა 111,8 მილიონი დოლარი შეადგინა.

გამოცემის ცნობით, 2016 წლის ნოემბერში ბიძინა ივანიშვილმა „კრისტის“ აუქციონზე მე-20 საუკუნის ცნობილი ჰოლანდიელი ფერმწერისა და სკულპტორის უილიამ დე კუნინგის ტილო „უსათაურო XXV“ 66,3 მილიონ დოლარად გაყიდა. ვინ შეიძინა ჰოლანდიელი აბსტრაქციონისტის ნამუშევარი, არ ხმაურდება. თუმცა ცნობილია, რომ ვაჭრობა ტელეფონით შედგა.

ტილოს საწყისი ფასი 37 მილიონი დოლარი იყო.



„ბლუმბერგის“ ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილმა დე კუნინგის ტილო 2009 წლის იანვარში 35 მილიონ დოლარად შეიძინა.

როგორც „ფორბსის“ რუსული გამოცემა წერს, დე კუნინგის ტილოს გაყიდვამდე საქართველოს ყოფილმა პრემიერმა ჰოლანდიელი ფერმწერის სხვა ცნობილი ნამუშევარი 12 მილიონ დოლარად შეიძინა.

გამოცემის ინფორმაციით, გასული წლის ნოემბერში ბიძინა ივანიშვილმა „კრისტის“ აუქციონზე საკუთარი კოლექციიდან ხელოვნების კიდევ ერთი ნიმუში გაყიდა – პაბლო პიკასოს „ბიჭი ჩიბუხით“ 18,4 მილიონ დოლარად. პიკასოს ტილო ყოფილმა პრემიერმა 2007 წლის ნოემბერში ნიუ იორკის „სოთბის“ აუქციონზე 11,8 მილიონ დოლარად შეიძინა.

გასული წლის ივნისში ივანიშვილმა ლონდონის „კრისტის“ აუქციონზე გასაყიდად 2 ნახატი გაიტანა, მათ შორის ბრიტანელი მხატვრის ლუსიენ ფროიდის „იბი და მისი ქმარი“, რომლის საწყისი ფასი 24 მილიონი დოლარი იყო, თუმცა ნახატი არ გაიყიდა.

იმავე აუქციონზე საქართველოს ყოფილმა პრემიერმა 27,1 მილიონ დოლარად გაყიდა ფრენსის ბეკონის ტილო, რომელიც 2006 წელს ნოემბერში „სოთბის“ აუქციონზე 15 მილიონ დოლარად შეიძინა.

ბიძინა ივანიშვილის კოლექციაში ყველაზე ძვირადღირებულია პაბლო პიკასოს „დორა მაარი კატებთან ერთად“, რომელიც 2006 წელს „სოთბის“ აუქციონზე 95,2 მილიონ დოლარად შეიძინა.

„ფორბსის“ ბოლო, 2017 წლის მონაცემებით, ბიძინა ივანიშვილის ქონება 4.5 მილიარდი დოლარია. 2016 წლის მონაცემებით, საქართველოს ყოფილი პრემიერის ქონება 4,8 მილიარდ დოლარს შეადგენდა.

**ბიპიენი**

# ვადაგასული რძის პროდუქტების გამო 63 ბიზნესოპერატორი დაჯარიმდა

სურსათის ეროვნული სააგენტო სარეალიზაციო ობიექტებში რძისა და რძის ნაწარმის შემოწმებას განაგრძობს.

სახელმწიფო კონტროლის მიზანი „რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტით“ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისობის დადგენაა. დადგენილი რეგულაციის მიხედვით, ნაწარმზე, რომელიც შეიცავს მცენარეულ ცხიმს, დაუშვებელია რძის ნაწარმის ან მიმსგავსებული ტერმინების გამოყენება.

სააგენტოს სპეციალისტები ახორციელებენ ბიზნესოპერატორების დოკუმენტურ შემოწმებას (შენახვისა და რეალიზაციის პირობები და ეტიკეტირება) და მონიტორინგს (სურსათის ნიმუშების აღება და ლაბორატორიული კვლევა).

რძის ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისობის დადგენის მიზნით სააგენტომ 2016 წელს 2498 ბიზნესოპერატორის დოკუმენტური შემოწმება ჩაატარა.

ეტიკეტირების წესის დარღვევისა და ვადაგასული სურსათის რეალიზაციის გამო 63 ბიზნესოპერატორი დაჯარიმდა.

მონიტორინგის ფარგლებში ლაბორატორიული კვლევისთვის აღებულია სარეალიზაციო ქსელში განთავსებული რძისა და რძის ნაწარმის 250 ნიმუში. აქედან 3 შემთხვევაში გამოვლინდა მცენარეული ცხიმის შემცველობა, ხოლო 14 ნიმუშში დაფიქსირდა ეტიკეტზე მითითებული ცხიმიანობის პროცენტის შეუსაბამობა.

– სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები, სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში ამოწმებენ ადგილობრივი და იმპორტირებული ნაწარმის შესაბამისობას რძის ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან. მნიშვნელოვანია, რომ ბიზნესოპერატორებისა და მომხმარებლის ინფორმირებულობის გაზრდის შედეგად დარღვევების რაოდენობა შემცირდა.

მოვუწოდებთ მომხმარებელს აქტიურობისკენ და ვურჩევთ, ყურადღებით გაეცნოს ეტიკეტზე განთავსებულ ინფორმაციას, დარღვევის გამოვლენისას კი აცნობოს სააგენტოს, – განაცხადა სურსათის ეროვნული სააგენტოს თბილისის სამმართველოს უფროსმა კახა სოხაძემ.

**ბიზნესკონტრაქტ.გე**

# კომერციულ ბანკებს სესხების გასალარებლად 2.000-ზე მეტმა ადამიანმა მიმართა

გალარების დაწყებიდან მესამე დღეს საქართველოს კომერციულ ბანკებს სესხების გასალარებლად 2.000-ზე მეტმა ადამიანმა მიმართა.

ამის შესახებ საქართველოს ბანკების ასოციაციის პრეზიდენტმა ზურაბ გვასალიამ განაცხადა.

მისი ინფორმაციით, 100-ზე მეტმა ადამიანმა საკუთარი სადოლარე სესხი უკვე გაალარა. საშუალო პროცენტი, რომელიც გალარებისას დაფიქსირდა, 10-11 პროცენტია.

– ვფიქრობთ, გალარების პროგრამით პოტენციური მონაწილეების მაქსიმალური რაოდენობა ისარგებლებს. მხოლოდ სამი დღეა გასული, ბანკებში კი არ წყდება სატელეფონო ზარები, ხოლო მიმართვიანობამ 2.000-ს გადააჭარბა. ბანკებს ჯერ არ დაუსრულებიათ გალარების პროგრამის პოტენციური მონაწილეების მოკლე ტექსტური შეტყობინებებით ინფორმირება. მოსახლეობა ძალიან აქტიურია, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმას, რომ მისთვის საინტერესო და მისაღებია საბანკო სესხების იმ ვალუტაში გადმოტანა, რომელშიც შემოსავალი აქვს, – განაცხადა ბანკების ასოციაციის პრეზიდენტმა.

მისი შეფასებით, აღნიშნული აქტივობით მოსახლეობამ გამოხატა საკუთარი პოზიტიური დამოკიდებულება გალარების პროგრამის მიმართ.

ზურაბ გვასალიას განცხადებით, საქართველოს საბანკო სექტორი მზადაა გალარების პროგრამის ხარვეზების გარეშე მომსახურებისთვის.

სესხების გალარების სამთავრობო პროგრამა 17 იანვარს დაიწყო და 2 თვეს გასტანს. პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მათ, ვინც უძრავი ქონების უზრუნველყოფით აშშ დოლარში საბანკო სესხი 2015 წლის 1 იანვრამდე აიღო. გარდა ამისა, ვისი წლიური შემოსავალიც 2015 წლისთვის 100.000 ლარზე მეტი არ არის და ვისი სესხის ნარჩენი ოდენობა 100000 აშშ დოლარზე მეტი არ არის.

მაქსიმალური თანხა, რომელსაც გალარება შეეხება, 40.000 აშშ დოლარია.

**ბიპიენი**

# მერია ელექტრომობილების მფლობელებს პარკირების საფასურისგან გათავისუფლებას სთავაზობს

თბილისის მერია ელექტრომობილების მფლობელებს პარკირების საფასურის გადახდისგან გათავისუფლებას სთავაზობს.

როგორც მერიაში აცხადებენ, სურვილის შემთხვევაში, ელექტროძრავიანი ავტომობილების მესაკუთრეებმა განცხადებით ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს უნდა მიმართონ და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის მოწმობის ქსეროასლები წარადგინონ.

დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, სამსახური მონაცემებს „სითი პარკს“ გადასცემს. ამის შემდეგ ელექტრომობილების მფლობელებს პარკირების საფასურის გადახდა აღარ მოუწევთ.

თბილისის საკრებულოს დადგენილებით მიღებული პარკირების ახალი წესი პირველი იანვრიდან შევიდა ძალაში.

როგორც მერიაში აცხადებენ, ელექტრომობილების პარკირების საფასურის გადახდისგან გათავისუფლება ეკოლოგიურად სუფთა ავტოტრანსპორტის იმპორტის წასახალისებლად გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია.

ამავე მიზნით, შარშან შემოდგომაზე დედაქალაქის ორ წერტილში მერიის მიერ გამოყოფილ ადგილზე ელექტროძრავიანი ავტომობილების დასამუხტი პუნქტები მოეწყო.

**კომერსანტ.გე**

# აჭარაში „მეფური კალმახას“ წარმოება დაიწყეს



ხელვაჩაურის რაიონის სოფელ წინსვლაში რამდენიმე თვეა, სოკოს საწარმო ამოქმედდა.

„მეფურ კალმახას“ აჭარაში 3 ადამიანისგან შექმნილი ამხანაგობა „ლეგიდა“ აწარმოებს, რომლის ერთ-ერთი წარმომადგენელი, ლეილა გოგიაშვილი, ბიზნესპრესნიუსთან საუბრისას აღნიშნავს, რომ სოკოს მოყვანა 2016 წლის აგვისტოდან დაიწყეს.

მისივე ცნობით, ამხანაგობის ერთ-ერთ წევრს დავით ასათიანს საბერძნეთში, ქალაქ სალონიკში, ჰქონდა სოკოს მეურნეობასთან შეხება, რაც საქმის წამოწყებაში დაეხმარათ.

– სოკოს მოყვანა ტომრებში ხდება. კერძოდ, ნამჯაში ვთესავთ, ნამჯას კი ვხარშავთ, ვფილტრავთ, ვწურავთ, ვპრესავთ. ეს ყველაფერი საკმაოდ რთული პროცედურაა, რადგან ჯერჯერობით ყველაფერს ხელით ვაკეთებთ, – ამბობს გოგიაშვილი.

მისივე თქმით, კვირაში 100 კილოგრამი სოკოს მოყვანაა შესაძლებელი, თუმცა, საწარმოსთან მშენებარე მაგისტრალის სამუშაოების გამო, შედარებით მცირე, თვეში 150-დან 250 კილოგრამამდე სოკოს აწარმოებენ.

„ლეგიდა“ კალმახა სოკოს რეალიზაციას ამ ეტაპზე მხოლოდ აჭარის მასშტაბით ახორციელებს, თუმცა გაფართოების შემდეგ გურიისა და სამეგრელოს ათვისებასაც გეგმავენ.

ლეილა გოგიაშვილის თქმით, სამომავლოდ სოკოს სახლის შექმნა და სოკოს მზა კერძების დამზადებაც უნდათ.

მისივე თქმით, პროდუქტზე მოთხოვნა დიდია, თუმცა მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას ვერ ახერხებენ და სოკო მხოლოდ რამდენიმე სუპერმარკეტში შეაქვთ.

„მეფური კალმახას“ ღირებულება კილოგრამზე 5 ლარია. პროექტი 15.000 ლარით, პროექტის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში დაფინანსდა.

**ბიპიენი**

# „ჯეო პროდაქტსი“ მარწყვის წარმოებას იწყებს

სალათის ფურცლების მწარმოებელი კომპანია „ჯეო პროდაქტსი“ წარმოებას აფართოებს და მარწყვის წარმოებას იწყებს.

როგორც ბიზნესკონტრაქტს კომპანიის ხელმძღვანელმა კახაბერ თუთბერიძემ განუცხადა, უკვე შემოტანილი აქვთ 6 ათასამდე ნერგი და გაზაფხულზე წარმოებას დაიწყებენ.

პირველ ეტაპზე ახალი კულტურის ასათვისებლად კომპანია 25 ათას ლარს ჩადებს. თუ პროექტმა გაამართლა, შესაძლოა, „ჯეო პროდაქტსი“ სრულად მარწყვის წარმოებაზე გადავიდეს.

კომპანიამ წარმოება ზაფხულში გააფართოვა. „ჯეო პროდაქტსმა“ დამატებით 1.400 კვადრატული მეტრი ფართობი დაამატა და სალათის ფურცლების წარმოება გააორმაგა.

კომპანიას „აწარმოე საქართველოში“ პროექტის ფარგლებში რუსთავში 3.000 კვადრატული მეტრი მიწა გადაეცა. კომპანიამ საწარმოს მშენებლობაში 150.000 ლარის ინვესტიცია განახორციელა.

**სალომე მეცხვარიშვილი, ბიზნესკონტრაქტ.გე**

# მანდატურის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა გაგრძელდება

## ჯეჯელავა იმერეთში მომხდარ ფაქტზე

იმერეთის რეგიონში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, რომელიც მანდატურსა და სკოლის მოსწავლეს შორის სქესობრივ ურთიერთობას შეეხება, კომენტარი განათლების მინისტრმა გააკეთა.

ალექსანდრე ჯეჯელავას განცხადებით, მომხდარმა ჩრდილი არ უნდა მიაყენოს მანდატურის სამსახურს და მის მიმართ ნდობა არ უნდა დაიკარგოს.

ჯეჯელავას თქმით, მანდატურის სამსახურმა სკოლები ბევრ უბედურებას ააცილა და ის ერთ-ერთი საამაყო სამსახურია, რომელიც წინა ხელისუფლების დროს შეიქმნა და დღემდე წარმატებით ფუნქციონირებს.

მინისტრის აზრით, სისხლის სამართლის კოდექსს ცოლად მოყვანა-არმოყვანა არ აინტერესებს და ამიტომ სისხლისსამართლებრივი დევნა გაგრძელდება.

– მანდატურების დანიშვნის წესი, პრინციპში, ფუნდამენტურად ისეთივე რჩება, როგორიც აქამდე იყო. მანდატურის სამსახურმა ძალიან ბევრი უბედურება აგვაცილა. ძალადობა სკოლებში შემცირებულია. ეს ერთ-ერთი საამაყო სამსახურია, რომელიც ადრე შეიქმნა და ჩვენი ხელისუფლების პირობებში დაიხვეწა, გახდა უფრო ჰუმანური და დაუახლოვდა სკოლის ადმინისტრაციას. ცალკეული შემთხვევები, რა თქმა უნდა, ნებისმიერ სისტემაშია. პროფესიის გამო ნდობა არ უნდა შეილახოს, – აცხადებს მინისტრი.



ჯეჯელავას განმარტებით, აღნიშნული პირი სისტემაში აღარ მუშაობს, თუმცა მეორე პრობლემაა თავად საზოგადოების ტოლერანტული დამოკიდებულება ადრეული ქორწინების მიმართ, რაც კარგი არ არის.

– ჩვენ განათლებით, ოჯახებთან და საზოგადოებასთან მუშაობით უნდა შევეცადოთ დავანახოთ, რომ მიუღებელია ასეთ ადრეულ ასაკში ქორწინება, მისი ხელშეწყობა თუნდაც ოჯახის მხრიდან. მარწმუნებენ, რომ ყველა ბედნიერია ამ კონკრეტულ შემთხვევაში, თუმცა ჩვენ ნამდვილად არა ვართ ბედნიერი, – განაცხადა ჯეჯელავამ.

* * *

იმერეთის რეგიონის ერთ-ერთ მუნიციპალიტეტში მანდატურმა სკოლის მოსწავლე გააუპატიურა. ადგილობრივების განცხადებით, ეჭვმიტანილი 40 წლის მამაკაცია და რამდენიმე წელია, სკოლაში მუშაობს, დაზარალებული კი 15 წლისაა და ამ სკოლაში ერთი წლის წინ გადავიდა.

როგორც „ნიუპოსტს" შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში განუცხადეს, საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სქესობრივ კავშირს ან სექსუალურ სხვაგვარ მოქმედებას გულისხმობს 16 წლის ასაკს მიუღწეველთან. აღნიშნული მუხლი 7-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# ნინო გვენეტაძე: „ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით პარლამენტმა საინტერესო ვარიანტი შემოგვთავაზა"

## ლიკა საჯაია: „ფარულ მოსმენებზე „გასაღები" კვლავ სუსს რჩება"

– ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით პარლამენტის მიერ ძალიან საინტერესო ვარიანტია შემოთავაზებული.

ამის შესახებ ჟურნალისტებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძემ სამუშაო ჯგუფის დახურული სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა.

– მოგეხსენებათ, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების დროს მართლმსაჯულებას გარკვეული ზედამხედველობის ფუნქცია და პასუხისმგებლობა აკისრია. ამ შემთხვევაში ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ყველა ის საკანონმდებლო წინადადება, რომლებიც დღეს გაჟღერდა.



შეხვედრაზე ძალიან კარგად მოვისმინე არასამთავრობო ორგანიზაციების პოზიცია, ასევე ის ვარიანტი, რომელიც პარლამენტმა წარადგინა. ჩვენ, სასამართლო, ამ საკითხებზე ვიმუშავებთ და საკუთარ პოზიციას დავაფიქსირებთ, – განუცხადა ჟურნალისტებს ნინო გვენეტაძემ.

როგორც პარლამენტში გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ გახდა ცნობილი, იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა წარადგინა კონცეფცია, რომელიც ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით სუსის დაქვემდებარების ქვეშ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ჩამოყალიბებას ითვალისწინებს.

* * *

– საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ სრულდება – ფარულ მოსმენებზე „გასაღები" კვლავ სუსს რჩება.

ამის შესახებ კამპანია „ეს შენ გეხება" წარმომადგენლებმა გიორგი გოცირიძემ და ლიკა საჯაიამ ჟურნალისტებს სამუშაო ჯგუფის დახურული სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადეს.

მათი ინფორმაციით, იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა წარადგინა კონცეფცია, რომელიც ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით სუსის დაქვემდებარების ქვეშ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ჩამოყალიბებას ითვალისწინებს.



როგორც კამპანია „ეს შენ გეხება" წევრები აცხადებენ, თუკი პარლამენტს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესრულება სურს, მან ამ განზრახვაზე უარი უნდა თქვას.

– ასეთ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ შესრულდება. თუკი კანონში ამგვარი ცვლილება შევა, ჩვენ მივიღებთ რეალობას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და, შესაბამისად, საკონსტიტუციო წესრიგს უგულებელვყოფთ, რაც ძალიან ცუდი იქნება.

ქვეყანაში, სადაც საკონსტიტუციო წესრიგს არ სცემენ პატივს, შეუძლებელია დაცული იყოს ადამიანის უფლებები და სახელმწიფოს უსაფრთხოება, – განუცხადა ჟურნალისტებს ლიკა საჯაიამ.

მან იმედი გამოთქვა, რომ მმართველი გუნდი მუშაობის პროცესში აღნიშნულ პოზიციას დათმობს.

# ფოთში ავარიას 29 წლის მამაკაცი ემსხვერპლა



ფოთში ავტოსაგზაო შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა.

ავარია 8 მარტის ქუჩაზე, რაგბის სტადიონთან მოხდა.

თვითმხილველთა ინფორმაციით, „ოპელის" მარკის ავტომანქანა მოცურდა, ბოძს შეეჯახა, ამოტრიალდა და სანიაღვრე არხში ჩავარდა.

ავტომანქანას მართავდა 29 წლის მამაკაცი, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა. მის ამოსაყვანად ავტომანქანის გაჭრა გახდა საჭირო, რაც სამაშველო სამსახურის ბრიგადებმა უზრუნველყვეს.

ადგილზე მობილიზებული იყვნენ სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და საპატრულო პოლიციის ჯგუფები.

მიმდინარეობს გამოძიება.

# ლაგოდეხში პოლიციელმა მამაკაცი დაჭრა



კახეთის რაიონში, ლაგოდეხში, პოლიციელმა მამაკაცი დაჭრა.

ინციდენტს წინ შელაპარაკება უძღოდა. სწორედ ამის შემდეგ გაუხსნა ცეცხლი პოლიციელმა მამაკაცს. დაზარალებული მუცლის არეშია დაჭრილი.

დაჭრილი მამაკაცი გურჯაანის საავადმყოფოშია მოთავსებული. მედპერსონალის განცხადებით, სამართალდამცავის მიერ დაჭრილი პაციენტის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

როგორც „ნიუპოსტს" შსს-ში განუცხადეს, სამართალდამცველი, რომელმაც მოქალაქე დაჭრა, რიგითი პოლიციელი იყო და ის უკვე გათავისუფლებულია თანამდებობიდან.

საქმეს პროკურატურა იძიებს.

# რუსეთიდან იტალიაში ქართველი კანონიერი ქურდია ექსტრადირებული

რუსეთიდან იტალიაში ქართველი კანონიერი ქურდი, ჯემალ მიქელაძე, მეტსახელად „ჯემოა" ექსტრადირებული.

ამის შესახებ გამოცემა „პრაიმ კრაიმი" იუწყება.



41 წლის „ჯემო" მოსკოვის შერემეტიევოს აეროპორტიდან რომში გადააფრინეს.

ჯემალ მიქელაძეს იტალიაში დანაშაულებრივი დაჯგუფების შექმნა, გამოძალვა, მექრთამეობა და ფულის გათეთრება ბრალდება.

2014 წლის ივნისში მიქელაძეს ქალაქ ბარის სასამართლომ დაუსწრებლად 15-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა და მასზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდა. გასული წლის მარტში „ჯემო" რუსეთის ქალაქ კემეროვოში დააკავეს.

„პრაიმ კრაიმი" წერს, რომ იტალიიდან რუსეთში ჯემალ მიქელაძის დაბრუნება მომავალში ნაკლებად სავარაუდოა.

# საბერძნეთის მოქალაქე თბილისში ნარკოდანაშაულისთვის დააკავეს

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, საბერძნეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1968 წელს დაბადებული გ.ჩ., ნარკოდანაშაულისთვის თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, 58,4 მილიგრამი მეტადონის მარილის შემცველი სითხე და 8,77 გრამი კოკაინის მარილი ამოიღეს.

გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით).

# ბორჯომში „ვისოლის" ბენზინგასამართი სადგური დააყაჩაღეს

ბორჯომის შესასვლელში შეიარაღებულმა ნიღბიანმა პირმა კომპანია „ვისოლის" კუთვნილი ბენზინგასამართი სადგური დააყაჩაღა.

მძარცველმა იარაღის მუქარით 600 ლარის ოდენობის თანხა გაიტაცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სადგურის ოპერატორის განცხადებით, ბენზინგასამართზე 4 პირი მორიგეობდა, თუმცა ორს ეძინა.

– ჩვენ არ შეგვინიშნავს, მის გარდა იყვნენ თუ არა სხვა თანამზრახველებიც. მუქარა მხოლოდ ერთი შეიარაღებული პირისგან მოდიოდა. ამოცნობა ვერავინ შეძლო, იქიდან გამომდინარე, რომ სახეზე ნიღაბი ეკეთა, – აცხადებს ბენზინგასამართი სადგურის ოპერატორი ზურაბ ცერცვაძე.

მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით, რაც ყაჩაღობას გულისხმობს.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# ქალების მსვლელობა ვაშინგტონში



ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქში ქალების საპროტესტო მსვლელობა გაიმართა.

აქციაში რამდენიმე ასეული ათასი მოქალაქე მონაწილეობდა. ისინი ქალთა უფლებების დასაცავად და პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მიერ სხვადასხვა დროს ქალებზე გაკეთებული განცხადებების გასაპროტესტებლად გამოვიდნენ.

დემონსტრანტთა ნაწილი ტრამპის პრეზიდენტად არჩევასა და მის პოლიტიკურ შეხედულებებსაც გმობდა.

ქალთა სოლიდარობის აქციები ამერიკისა და მსოფლიოს სხვა ქალაქებშიც გაიმართა. ნიუ იორკის დემონსტრაციის ათობით ათასმა მონაწილემ მეხუთე ავენიუდან „ტრამპ თაუერისკენ“ გამართა მსვლელობა.

დემონსტრანტები, ქალთა უფლებების გარდა, სხვა საკითხებსაც აპროტესტებდნენ. ზოგიერთი ტრამპის მიერ დაპირებულ საიმიგრაციო პოლიტიკას აკრიტიკებდა, სხვები მუსლიმან ამერიკელთა მიმართ მის დამოკიდებულებას გმობდნენ.

აქციის ორგანიზატორები ამდენ მონაწილეს არ ელოდნენ. კაპიტოლიუმსა და ლინკოლნის მემორიალს შორის სივრცე მოქალაქეებით გადაიჭედა, რამაც ავტომანქანების მსვლელობა შეუძლებელი გახადა.

როგორც ვაშინგტონის პოლიციის დროებითმა ხელმძღვანელმა პიტერ ნიუშამმა აღნიშნა, ხალხის რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ მარშისთვის ადგილი აღარ დარჩა. იქ, სადაც ინაუგურაციისას ტრამპის მხარდამჭერები იდგნენ, მეორე დღეს პრეზიდენტის ოპონენტები შეგროვდნენ. აქციის მონაწილეთა ერთი ჯგუფი თეთრ სახლთანაც მივიდა.

– მაშინებს მისი პოლიტიკური შეხედულებები. როგორც სტუდენტი და ადამიანი, რომელიც სამომავლოდ ფედერალურ მთავრობაში მუშაობას ფიქრობს, მივიჩნევ, რომ ჩვენ საპირისპიროს უნდა ვაკეთებდეთ, – განაცხადა დემონსტრანტმა, რომელიც ვაშინგტონში საგანგებოდ ნიუ-ორლეანიდან ჩავიდა.

დემონსტრაციას პოლიტიკურმა აქტივისტებმა, მსახიობებმა და მომღერლებმა მიმართეს, მათ შორის – მადონამ, სკარლეტ იოჰანსონმა და ალისია კისმა.

– მე სიეტლიდან ჩამოვედი. იმდენი მიზეზი მაქვს, თუ რატომ ვმონაწილეობ ამ პროტესტში, რომ რთულია ყველას ჩამოთვლა, – განუცხადა ერთ-ერთმა დემონსტრანტმა „ამერიკის ხმას“.

გლორია შტაინემმა, რომელიც მრავალი ათეული წელია, ქალთა უფლებებს იცავს, დემონსტრანტებს მოუწოდა, აქტიურობა აქციის შემდეგაც გააგრძელონ.

– იფიქრეთ, რას გავაკეთებთ ხვალ. წარსულში არ უნდა დავბრუნდეთ, – განაცხადა მან.

– ტრამპი არავის წარმოადგენს. გვინდა, მსოფლიომ იცოდეს, რომ ის ამერიკის უმრავლესობას არ წარმოადგენს, – ამბობს აქციის მონაწილე, რომელიც ვაშინგტონში ოჯახთან ერთად ნიუ იორკიდან ჩავიდა.

– ჩვენ აქ შვილიშვილ გოგონებთან ერთად მოვედით. ქალთა უფლებები მათ გამოც გვაღელვებს, სხვა ბევრი საკითხიც გვაწუხებს, მათ შორის, კლიმატის ცვლილება, რასობრივი უთანასწორობა. ტრამპმა შეურაცხყო ქალები, ესპანურენოვანი მოსახლეობა, მუსლიმანები, – განაცხადა ნატალი ჰოლმა ვირჯინიიდან.

დემონსტრანტი მაიკლ კოლი წუხს ამერიკის არჩევნებში რუსეთის ჩარევის მცდელობისა და ტრამპის რუსეთთან შესაძლო კავშირების გამო.

– ჩემს პლაკატზე „პუტინი 45“ წერია. პუტინი ჩვენი 45-ე პრეზიდენტია, – თქვა მან.

ქალთა მსვლელობა ვაშინგტონში საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ფეისბუქით დაიგეგმა. ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ საპროტესტო მუხტს შეინარჩუნებენ და ადამიანის უფლებებისა და თანასწორობისთვის ბრძოლას გააგრძელებენ.

# ინდოეთში სარკინიგზო კატასტროფის შედეგად 36 ადამიანი დაიღუპა



ინდოეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე შტატ ანდჰარა-პრადეშში სარკინიგზო კატასტროფის შედეგად 36 ადამიანი დაიღუპა, ათეულობით მგზავრმა მძიმე დაზიანება მიიღო. ისინი ადგილობრივ საავადმყოფოებში გადაიყვანეს.

მატარებლის 7 ვაგონი რელსებიდან ვიზიანაგარამის ოლქის სიახლოვეს მდებარე სადგურთან გადავიდა.

ქვეყანაში მსგავსი შემთხვევები იშვიათობას არ წარმოადგენს, რადგან ინდოეთის სარკინიგზო ქსელი ცუდ მდგომარეობაშია.

## კალეიდოსკოპი

### აშშ-ში შიშველმა ქალმა პოლიციის მანქანა გაიტაცა




ამერიკის არიზონას შტატში შიშველმა ქალმა შერიფის თანაშემწის მანქანა გაიტაცა. ამ ინციდენტის ვიდეოჩანაწერი, რომელიც ინტერნეტში გამოქვეყნდა, სამართალდამცავის სამკერდე კამერითაა ჩაწერილი.

ვიდეოზე ჩანს დეზორიენტირებული გოგონა, რომელიც ავტოგასამართ სადგურზე ყოველგვარი ტანსაცმლის გარეშე დაბორიალობს. მან შერიფის თანაშემწეს აცნობა, რომ გაუპატიურების მსხვერპლი გახდა. როდესაც სამართალდამცავი მანქანიდან გადმოვიდა, რათა ადეალა აეღო, ქალი მძღოლის ადგილზე მოკალათდა და მანქანა ადგილიდან დაძრა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პოლიცია დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში მისდევდა შიშველ გამტაცებელს, რომელიც ტრასაზე 160 კილომეტრი საათში სიჩქარით მიჰქროდა. დაკავების შემდეგ გაირკვა, რომ გოგონა მეტამფეტამინისა და სპაისის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა, ხოლო მისი განცხადება გაუპატიურებასთან დაკავშირებით, არ დადასტურდა.

ქალს წარედგინა სამართალდამცავი ორგანოებისთვის დაუმორჩილებლობის და გაქცევის ბრალდება, ასევე წინააღმდეგობის გაწევა დაპატიმრებისას, სატრანსპორტო საშუალების გატაცება, შეიარაღებული თავდასხმა და ცრუ ინფორმაციის მიწოდება.

### რესტორნის თანამშრომელი ცომით ხტუნაობისთვის გაათავისუფლეს



რესტორნების ქსელის ჯიმი ჯონსის თანამშრომელი სამსახურიდან იმის გამო გაათავისუფლეს, რომ ის ცომს სახტუნაოს მსგავსად იყენებდა.

სკანდალის მიზეზად იქცა ვიდეო, რომელიც ინტერნეტში იქნა განთავსებული. მასზე აღბეჭდილია წინსაფრიანი ახალგაზრდა, რომელიც ცომისგან დამზადებულ გრძელ ბაწარზე ხტუნაობს რესტორნის დამხმარე სათავსოში. ეს ყოველივე კი ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ჯექსონვილში მოხდა. ვიდეორგოლი ფეისბუქში იქნა ატვირთული, რის შემდეგაც მისით მას მედიის წარმომადგენლები დაინტერესდნენ.

ჯექსონვილში რესტორნის მფლობელებმა მომხმარებლებს განუცხადეს, რომ სავარჯიშოდ გამოყენებული ცომი საკვებში არ გამოუყენებიათ და ის გადააგდეს.

– ჩვენ ასეთ ქმედებას ვგმობთ და ვიღებთ სათანადო ზომებს იმისთვის, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდეს, – განაცხადეს რესტორნის მფლობელებმა. დამნაშავე თანამშრომელი სამსახურიდან გაათავისუფლეს.

ამ ინციდენტის შემდეგ სახელმწიფო ინსპექციის თანამშრომლებმა რესტორნის რიგგარეშე შემოწმება ჩაატარეს და 17 დარღვევა გამოავლინეს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# შტაინმაიერი: „ტრამპის გაპრეზიდენტებამ ერა დაასრულა“

– დონალდ ტრამპის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანამდებობის დაკავება ის მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომელმაც ერა დაასრულა.

ასე გამოეხმაურა თეთრი სახლის ახალი ლიდერის ინაუგურაციას გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანკ ვალტერ შტაინმაიერი.



60 წლის დიპლომატი გერმანიის პოლიტელიტაში ტრამპისადმი ყველაზე კრიტიკულად განწყობილი აღმოჩნდა. ნოემბერში ტრამპის არჩევის შემდეგ გაკეთებულ განცხადებაში მან მსოფლიო ლიდერები გააფრთხილა, რომ აშშ-სთან ორმხრივი თანამშრომლობა სულ უფრო მეტად გართულდებოდა.

გერმანულ „ბილდში“ გუშინ გამოქვეყნებულ სტატიაში შტაინმაიერმა აღნიშნა, რომ მეოცე საუკუნის ძველი ეპოქა საბოლოოდ დასრულდა, თუმცა, აქვე განმარტა, რომ მსოფლიოს მომავალი ჯერ მკვეთრად გადაწყვეტილი არ არის, მაგრამ ის უკეთესობისკენ არ იცვლება.

– როგორც ყოველთვის, როდესაც ხელისუფლება იცვლება, მას თან ახლავს გაუგებრობა, ეჭვი, კითხვის ნიშნები ახალი ლიდერის არჩეულ კურსთან დაკავშირებით, თუმცა დღეს არსებულ გლობალურ უწესრიგობაში საუბარი უფრო მეტზეა, – აღნიშნა შტაინმაიერმა.

გერმანიის პირველმა დიპლომატმა განმარტა, რომ გერმანია შეეცდება, აქტიური დიალოგი ჰქონდეს ტრამპის ადმინისტრაციასთან და ხაზგასმით დააფიქსიროს საკუთარი პოზიციები, ღირებულებები და ინტერესები.

# ტრამპმა ცსს-ს ახალი დირექტორი წარუდგინა




აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს შტაბ-ბინას ეწვია. ტრამპმა ცსს-ს ახალი დირექტორი მაიკ პომპეო წარუდგინა.

ტრამპის ვიზიტი მის წინააღმდეგ აგორებული შავი პიარის ფონზე წარიმართა.

მიუხედავად ამისა, ტრამპი ყოველმხრივ ცდილობდა ცსს-ის თანამშრომლების წინაშე თავისი ლოიალობის დემონსტრირებას. მან განაცხადა, რომ საარჩევნო კამპანია დასრულდა და ქვეყანა ნორმალური პოლიტიკური ცხოვრების რიტმს უნდა დაუბრუნდეს. ამ საქმეში დაზვერვას უდიდესი როლი ენიჭება.

– არათუ 100, არამედ 1000 პროცენტით თქვენთან ვარ, – თქვა ტრამპმა.

აშშ-ის ახალმა პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ რუსეთის მიმართ დათმობებს არ აპირებს.

– ცსს-ის ახალი დირექტორობის კანდიდატი და ჩემი მეგობარი პომპეო რუსეთის მიმართ გაცილებით უფრო ხისტადაა განწყობილი, ვიდრე მე, – თქვა ტრამპმა.

# სენატმა მატისი და კელი თანამდებობებზე დაამტკიცა



აშშ-ის სენატმა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით მხარი დაუჭირა თავდაცვის მინისტრის პოსტზე ჯეიმს მატისის, ხოლო უსაფრთხოების მინისტრად გენერალ კელის დანიშვნას.

კელი და მატისი რუსეთის წინააღმდეგ მკაცრი პოლიტიკის გატარებას მოითხოვენ.

# ტერაქტი სირიაში



ლტოლვილთა ბანაკ რუქბანში (სირიისა და იორდანიის საზღვარზე) ასაფეთქებელი ნივთიერებებით დატვირთული ავტომანქანა აფეთქდა.

შედეგად 11 ადამიანი დაიღუპა. დაღუპულთა შორის ქალები და ბავშვებიც არიან. ტერაქტზე პასუხისმგებლობა არცერთ ტერორისტულ ორგანიზაციას არ აუღია.

ამავე დროს, ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში სირიის საკითხზე მშვიდობიანი მოლაპარაკებები დაიწყო. სირიის ოპოზიციის წარმომადგენლები ასტანაში ჩავიდნენ. მოლაპარაკებებში, რუსეთის, თურქეთის, ირანის წარმომადგენლების გარდა, ყაზახეთში აშშ-ის ელჩი კროლიც მონაწილეობს.

# ტრიპოლიში, იტალიის საელჩოსთან, მანქანა ააფეთქეს

ლიბიის დედაქალაქ ტრიპოლიში ტერაქტი მოხდა.

იტალიის საელჩოსთან ასაფეთქებელი ნივთიერებებით დატვირთული ავტომანქანა აფეთქდა. „წითელი ჯვრის“ წარმომადგენლის ცნობით, მანქანას ტერორისტი-შაჰიდი მართავდა.

– დაიღუპნენ თავად ტერორისტი და მისი თანმხლები მგზავრი, – აცხადებს წითელი ჯვრის წარმომადგენელი.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*



# განცხადებები

## მომსახურება

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 260 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

## მკურნალობა

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# საქართველოს ნაკრები დღეს უზბეკეთთან ითამაშებს



საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები დუბაიშია და დღეს წლის სადებიუტო მატჩს უზბეკეთთან 17 საათზე გამართავს.

ვლადიმირ ვაისის გუნდი დუბაიში 21 იანვარს ჩავიდა და პირველი ვარჯიში გუშინ საფეხბურთო კლუბ ალ ნასრ დუბაის სტადიონზე გამართა. დუბაიში საქართველოს ნაკრები 22 ფეხბურთელთან ერთად იმყოფება.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ასეთია:

**მეკარეები:** როინ კვასხვაძე (ტორპედო), ომარ მიგინეიშვილი (სამტრედია), ოთო გოშაძე (საბურთალო);

**მცველები:** თორნიკე გრიგალაშვილი (ჩიხურა), დავით ხოჭოლავა (ჩერნომორეცი, უკრაინა), გიორგი რეხვიაშვილი (ლოკომოტივი), ლაშა შერგელაშვილი (რიგასი, ლატვია), უჩა ლობჟანიძე (ატირაუ, ყაზახეთი), გიორგი ქიმაძე (ტორპედო), ჯიმი ტაბიძე (გენტი, ბელგია);

**ნახევარმცველები:** თეიმურაზ შონია (დინამო, ბთ), გიორგი განუგრავა (ჩიხურა), ოლეგ მამასახლისი, ბექა ტუღუში (ორივე ტორპედო), ოთარ კიტეიშვილი, საბა ლობჟანიძე, გიორგი პაპუნაშვილი, ბაჩანა არაბული, ლაშა პარუნაშვილი (ყველა დინამო, თბ), გიორგი ხარაიშვილი (საბურთალო);

**თავდამსხმელები:** ვლადიმერ დვალიშვილი (ატირაუ, ყაზახეთი), ბუდუ ზივზივაძე (სამტრედია).

# უეინ რუნი მანჩესტერის რეკორდსმენია



ინგლისის ეროვნული ნაკრების კაპიტანი უეინ რუნი მანჩესტერ იუნაიტედის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ინგლისის პრემიერლიგის მორიგ ტურში სტოკთან (1:1) გამართულ მატჩში 94-ე წუთზე ინგლისელმა საჯარიმო დარტყმით 250-ე გოლი გაიტანა და ბობი ჩარლტონის რეკორდი გააუმჯობესა.

რუნი მანჩესტერ იუნაიტედში 2004 წელს „ევერტონიდან" გადავიდა და რეკორდის დამყარებისთვის 546 მატჩი დასჭირდა.

რუნის 10 გოლი აშორებს ალან შირერის რეკორდამდე, რომელიც 260 გოლით პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირია.

სერ ბობი ჩარლტონმა რუნის მანჩესტერული რეკორდი გასახდელშივე მიულოცა:

– 40 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მანჩესტერ იუნაიტედისთვის ჩემი 249 გოლიდან ბოლო გავიტანე და უნდა ვაღიარო, რომ შევეჩვიე კიდეც კლუბის საუკეთესო ბომბარდირად ყოფნის სახელს. „ოლდ ტრაფორდზე" ბევრი წარმოუდგენელი თავდამსხმელი გვყავდა და მათ ბევრი გოლი გაჰქონდათ, მაგრამ ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ გახდა ნათელი, რომ რუნის ყველაზე მეტად შეეძლო ამ რეკორდის დამხობა.

რომ გითხრათ, იმედგაცრუებული არ ვარ-მეთქი, მოვიტყუები. მაგრამ ამავდროულად, მოხარული ვარ რუნის მიღწევით. ის იმსახურებს საკუთარი სახელის ისტორიის წიგნებში ჩაწერას. 35 წლის ვიყავი, როცა ფეხბურთის თამაში შევწყვიტე, უეინი კი ჯერ მხოლოდ 31 წლისაა. ასე რომ, არა მგონია, ის ამ შედეგს დასჯერდეს.

მანჩესტერელთა კაპიტანი მატჩის შემდეგ მოურინიომაც შეაქო:

– რეკორდი რეკორდია. ეს არის ინგლისის უდიდესი და მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი კლუბის რეკორდი. აქამდე ამ რეკორდის მფლობელი ინგლისური ფეხბურთის ლეგენდა იყო, ახლა კი უეინი გახდა მანჩესტერ იუნაიტედის ახალი ლეგენდა.

მეტოქე გუნდის, სტოკის მთავარ მწვრთნელ მარკ ჰიუზს, რომელმაც მანჩესტერთან ერთად ორჯერ მოიგო პრემიერ ლიგა, სჯერა, რომ რუნის რეკორდს ვეღარავინ დაამხობს:

– საოცარი შედეგია და მას ვერავინ დაამხობს. 40 წელზე მეტი დასჭირდა სერ ბობის რეკორდის დამხობას, რაც დასტურია იმისა, თუ რამდენად მაღალი მნიშვნელობის იყო ეს მიღწევა.

# ზაზა ფაჩულიას ორმაგ დუბლამდე მოხსნა დააკლდა

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და გოლდენ სტეიტ უორიორსის ცენტრ ზაზა ფაჩულიას ისევ ცოტა დააკლდა „ოლ სტარში" მოსახვედრად. ჩვენებურმა 2017 წლის „ყველა ვარსკვლავის" გამოკითხვაში 1.528.941 ხმა მიიღო და დასავლეთ კონფერენციაში მხოლოდ თანაგუნდელ კევინ დურანტს ჩამორჩა, თუმცა, გამოკითხვის ახალი ფორმატის თანახმად, მაინც სასტარტო ხუთეულს მიღმა დარჩა.

ყველაფერი რომ შარშანდელი წესებით ყოფილიყო, ფაჩულიას „ოლ სტარში" თამაში განაღდებული ჰქონდა. ქართველი ცენტრი გულშემატკივრებმა კი აირჩიეს, მაგრამ ნბა-ს მოთამაშეებმა და ჟურნალისტებმა „დააღა-



ლატეს", რომელთაც ზაზას, შესაბამისად, მე-12 და მე-10 ადგილები მიუჩინეს. თუმცა, ეს შედეგიც საკმაოდ მაღალია და ცოტა არ იყოს მოულოდნელიც, რადგან ზაზას ამხელა დაფასებას ამხელა ლიგაში არ ველოდით. შედეგად, ფაჩულიას კოეფიციენტი 6.25-ს გაუტოლდა და ის დასავლეთ კონფერენციაში ფორვარდებში მე-6 პოზიციაზე აღმოჩნდა.

ქართველი კალათბურთელი ის კონფერენციაში მხოლოდ დურანტს, კავაინ ლეონარდს, ენტონი დევისს, დემარკუს კაზინსსა და დრეიმონდ გრინს ჩამორჩა, უკან კი მარკ გასოლი, კარლ-ენტონი თაუნსი, ლამარკის ოლდრიჯი და დეანდრე ჯორდანი მოიტოვა.

ზაზას „ოლ სტარში" მოხვედრის შანსი ჯერაც აქვს, თუკი მას დასავლეთ კონფერენციის გუნდის თავკაცი, რომელიც გოლდენ სტეიტში მისივე მწვრთნელი სტივ კერი იქნება, მას სათადარიგოთა შორის დაასახელებს. იმის შემდეგ, რაც კალათბურთელებისა და მედიის გამოკითხვის შედეგებით ვნახეთ, კერის „ქართული" ნაბიჯი მოულოდნელი აღარ იქნება.

ამასობაში ფაჩულიამ მორიგი შედეგიანი მატჩი ჩაატარა, მისმა გოლდენ სტეიტმა კი დასავლეთ კონფერენციის ერთ-ერთი ფავორიტი ჰიუსტონი სტუმრად 125:108 დაამარცხა. მატჩის ბედი მესამე პერიოდში გადაწყდა, რომელიც სტუმრებმა 37:22 მოიგეს და 99:79 დაწინაურდნენ.

ქართველმა ცენტრმა, ტრადიციულად, სასტარტო ხუთეულში ითამაშა და მოედანზე გატარებულ 20 წუთში ორმაგ დუბლამდე 1 მოხსნა დააკლდა. ფაჩულიამ 5-დან 3 ორქულიანი, ხოლო 6-დან 4 საჯარიმო ჩააგდო და 10 ქულას უწია. ქართველი ლეგიონერის ანგარიშზე 10 ქულასთან ერთად 9 მოხსნა, 2 პასი და 2 ჩაჭრა დაგროვდა.

გოლდენ სტეიტს 37 მოგება და 6 მარცხი აქვს, რითაც ლიგის ერთპიროვნული ლიდერია.

მომდევნო შეხვედრა ფაჩულიას გუნდს ორლანდოში მეჯიქთან ელის.

# შედეგები

## 21 იანვარი

### ფეხბურთი

**აფრიკის ერთა თასი**

განა-მალი ... 1:0
ეგვიპტე-უგანდა ... 1:0

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ლივერპული-სუონსი ... 2:3
ბორნმუთი-უოტფორდი ... 2:2
კრ.პალასი-ევერტონი ... 0:1
მიდლსბრო-ვესტ ჰემი ... 1:3
სტოკი-მანჩესტერი ... 1:1
ვესტ ბრომვიჩი-სანდერლენდი ... 2:0
სიტი-ტოტენჰემი ... 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 21 | 17 | 1 | 3 | 45-15 | 52 |
| 2.ტოტენჰემი | 22 | 13 | 7 | 2 | 45-16 | 46 |
| 3.ლივერპული | 22 | 13 | 6 | 3 | 51-27 | 45 |
| 4.არსენალი | 21 | 13 | 5 | 3 | 48-22 | 44 |
| 5.სიტი | 22 | 13 | 4 | 5 | 43-28 | 43 |
| 6.მანჩესტერი | 22 | 11 | 8 | 3 | 33-21 | 41 |
| 7.ევერტონი | 22 | 10 | 6 | 6 | 33-23 | 36 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 22 | 9 | 5 | 8 | 30-28 | 32 |
| 9.სტოკი | 22 | 7 | 7 | 8 | 28-34 | 28 |
| 10.ვესტ ჰემი | 22 | 8 | 4 | 10 | 29-36 | 28 |
| 11.ბორნმუთი | 22 | 7 | 5 | 10 | 32-39 | 26 |
| 12.ბარნლი | 21 | 8 | 2 | 11 | 23-31 | 26 |
| 13.საუთჰემპტონი | 21 | 6 | 6 | 9 | 19-26 | 24 |
| 14.უოტფორდი | 22 | 6 | 6 | 10 | 25-38 | 24 |
| 15.ლესტერი | 21 | 5 | 6 | 10 | 24-34 | 21 |
| 16.მიდლსბრო | 22 | 4 | 8 | 10 | 18-25 | 20 |
| 17.სუონსი | 22 | 5 | 3 | 14 | 26-51 | 18 |
| 18.კრ.პალასი | 22 | 4 | 4 | 14 | 30-41 | 16 |
| 19.ჰალი | 21 | 4 | 4 | 13 | 20-45 | 16 |
| 20.სანდერლენდი | 22 | 4 | 3 | 15 | 20-42 | 15 |

**ინგლისი. ჩემპიონშიპი**

ქპრ-ფულემი ... 1:1
ასტონ ვილა-პრესტონი ... 2:2
ბლექბერნი-ბირმინგემი ... 1:1
კარდიფი-ბარტონი ... 1:0
დერბი-რედინგი ... 3:2
ჰადერსფილდი-იფსვიჩი ... 2:0
ნიუკასლი-როტერჰემი ... 4:0
ნორვიჩი-ვულვზი ... 3:1
ნოტინგემი-ბრისტოლი ... 1:0
უიგანი-ბრენტფორდი ... 2:1
ბარნსლი-ლიდსი ... 3:2

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ესპანიოლი-გრანადა ... 3:1
რეალი-მალაგა ... 2:1
ალავესი-ლეგანესი ... 2:2
ვილიარეალი-ვალენსია ... 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 18 | 13 | 4 | 1 | 48-17 | 43 |
| 2.სევილია | 18 | 12 | 3 | 3 | 38-22 | 39 |
| 3.ბარსელონა | 18 | 11 | 5 | 2 | 47-17 | 38 |
| 4.ატლეტიკო | 18 | 10 | 4 | 4 | 32-14 | 34 |
| 5.სოსიედადი | 18 | 10 | 2 | 6 | 30-25 | 32 |
| 6.ვილიარეალი | 19 | 8 | 7 | 4 | 26-14 | 31 |
| 7.ბილბაო | 18 | 8 | 4 | 6 | 22-19 | 28 |
| 8.სელტა | 18 | 8 | 3 | 7 | 29-32 | 27 |
| 9.ეიბარი | 18 | 7 | 5 | 6 | 25-24 | 26 |
| 10.ესპანიოლი | 19 | 6 | 8 | 5 | 25-26 | 26 |
| 11.ლას პალმასი | 19 | 6 | 7 | 6 | 28-30 | 25 |
| 12.ალავესი | 19 | 5 | 8 | 6 | 17-20 | 23 |
| 13.მალაგა | 19 | 5 | 6 | 8 | 27-33 | 21 |
| 14.ბეტისი | 18 | 6 | 3 | 9 | 20-30 | 21 |
| 15.ვალენსია | 18 | 5 | 4 | 9 | 28-33 | 19 |
| 16.დეპორტივო | 19 | 4 | 7 | 8 | 24-29 | 19 |
| 17.ლეგანესი | 19 | 4 | 6 | 9 | 15-31 | 18 |
| 18.ხიხონი | 18 | 3 | 3 | 12 | 19-37 | 12 |
| 19.გრანადა | 19 | 1 | 7 | 11 | 16-42 | 10 |
| 20.ოსასუნა | 18 | 1 | 6 | 11 | 17-38 | 9 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ოვიედო-ვალიადოლიდი ... 1:0
უესკა-ალკორკონი ... 0:1
ლუგო-ხიმნასტიკი ... 2:3
ტენერიფე-კორდობა ... 2:0
რაიო-ელჩე ... 1:1
მურსია-სარაგოსა ... 1:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

შალკე-ინგოლშტადტი ... 1:0
ვოლფსბურგი-ჰამბურგი ... 1:0
აუგსბურგი-ჰოფენჰაიმი ... 0:2
ვერდერი-დორტმუნდი ... 1:2
დარმშტადტი-გლადბახი ... 0:0
ლაიპციგი-აინტრახტი ... 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 17 | 13 | 3 | 1 | 40-10 | 42 |
| 2.ლაიპციგი | 17 | 12 | 3 | 2 | 34-15 | 39 |
| 3.ჰოფენჰაიმი | 17 | 7 | 10 | 0 | 30-17 | 31 |
| 4.დორტმუნდი | 17 | 8 | 6 | 3 | 37-20 | 30 |
| 5.ჰერტა | 16 | 9 | 3 | 4 | 24-16 | 30 |
| 6.აინტრახტი | 17 | 8 | 5 | 4 | 22-15 | 29 |
| 7.კიოლნი | 16 | 6 | 7 | 3 | 21-15 | 25 |
| 8.ფრაიბურგი | 17 | 7 | 2 | 8 | 22-29 | 23 |
| 9.შალკე | 17 | 6 | 3 | 8 | 21-19 | 21 |
| 10.ლევერკუზენი | 16 | 6 | 3 | 7 | 23-24 | 21 |
| 11.მაინცი | 16 | 6 | 2 | 8 | 26-30 | 20 |
| 12.ვოლფსბურგი | 17 | 5 | 4 | 8 | 16-24 | 19 |
| 13.აუგსბურგი | 17 | 4 | 6 | 7 | 13-19 | 18 |
| 14.გლადბახი | 17 | 4 | 5 | 8 | 15-25 | 17 |
| 15.ვერდერი | 17 | 4 | 4 | 9 | 21-36 | 16 |
| 16.ჰამბურგი | 17 | 3 | 4 | 10 | 14-32 | 13 |
| 17.ინგოლშტადტი | 17 | 3 | 3 | 11 | 14-28 | 12 |
| 18.დარმშტადტი | 17 | 2 | 3 | 12 | 11-30 | 9 |

**იტალია. სერია ა**

კიევო-ფიორენტინა ... 0:3
მილანი-ნაპოლი ... 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 19 | 15 | 0 | 4 | 40-16 | 45 |
| 2.რომა | 20 | 14 | 2 | 4 | 41-18 | 44 |
| 3.ნაპოლი | 21 | 13 | 5 | 3 | 47-24 | 44 |
| 4.ლაციო | 20 | 12 | 4 | 4 | 35-22 | 40 |
| 5.მილანი | 20 | 11 | 4 | 5 | 31-24 | 37 |
| 6.ინტერი | 20 | 11 | 3 | 6 | 33-23 | 36 |
| 7.ატალანტა | 20 | 11 | 2 | 7 | 32-24 | 35 |
| 8.ფიორენტინა | 20 | 9 | 6 | 5 | 33-25 | 33 |
| 9.ტორინო | 20 | 8 | 6 | 6 | 38-29 | 30 |
| 10.კალიარი | 20 | 8 | 2 | 10 | 31-44 | 26 |
| 11.უდინეზე | 20 | 7 | 4 | 9 | 25-27 | 25 |
| 12.კიევო | 21 | 7 | 4 | 10 | 21-30 | 25 |
| 13.სამპდორია | 20 | 6 | 6 | 8 | 22-26 | 24 |
| 14.ბოლონია | 19 | 6 | 5 | 8 | 18-25 | 23 |
| 15.ჯენოა | 20 | 6 | 5 | 9 | 22-27 | 23 |
| 16.სასუოლო | 20 | 6 | 3 | 11 | 28-34 | 21 |
| 17.ემპოლი | 20 | 4 | 6 | 10 | 11-26 | 18 |
| 18.პალერმო | 20 | 2 | 4 | 14 | 17-40 | 10 |
| 19.კროტონე | 19 | 2 | 3 | 14 | 14-34 | 9 |
| 20.პესკარა | 19 | 1 | 6 | 12 | 15-36 | 9 |

**იტალია. სერია ბ**

ბრეშა-აველინო ... 0:2
ჩიტადელა-ბარი ... 2:0
სპალი-ბენევენტო ... 2:0
ენტელა-ფროზინონე ... 2:1
ლატინა-ვერონა ... 2:0
ტრაპანი-ნოვარა ... 2:1
პიზა-ტერნანა ... 1:0
კარპი-ვიჩენცა ... 0:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ნანტი-პსჟ ... 0:2
ბორდო-ტულუზა ... 1:0
დიჟონი-ლილი ... 0:0
კაენი-ნანსი ... 0:0
გენგამი-რენი ... 1:1
მეცი-მონპელიე ... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნიცა | 21 | 13 | 7 | 1 | 35-14 | 46 |
| 2.მონაკო | 20 | 14 | 3 | 3 | 60-21 | 45 |
| 3.პსჟ | 21 | 14 | 3 | 4 | 41-15 | 45 |
| 4.ლიონი | 19 | 11 | 1 | 7 | 36-22 | 34 |
| 5.გენგამი | 21 | 8 | 7 | 6 | 27-23 | 31 |
| 6.მარსელი | 20 | 8 | 6 | 6 | 23-23 | 30 |
| 7.რენი | 21 | 8 | 5 | 8 | 21-25 | 29 |
| 8.ბორდო | 21 | 7 | 8 | 6 | 22-27 | 29 |
| 9.სტ.ეტიენი | 20 | 6 | 9 | 5 | 19-17 | 27 |
| 10.ტულუზა | 21 | 7 | 5 | 9 | 22-23 | 26 |
| 11.ნანტი | 21 | 7 | 4 | 10 | 14-28 | 25 |
| 12.ნანსი | 20 | 6 | 6 | 8 | 16-23 | 24 |
| 13.მონპელიე | 21 | 5 | 8 | 8 | 29-34 | 23 |
| 14.ლილი | 21 | 6 | 5 | 10 | 19-26 | 23 |
| 15.დიჟონი | 21 | 4 | 9 | 8 | 27-30 | 21 |
| 16.ბასტია | 21 | 5 | 6 | 10 | 18-25 | 21 |
| 17.კაენი | 20 | 6 | 3 | 11 | 23-35 | 21 |
| 18.მეცი | 20 | 6 | 5 | 9 | 20-36 | 21 |
| 19.ანჟე | 20 | 5 | 5 | 10 | 16-25 | 20 |
| 20.ლორიანი | 20 | 5 | 3 | 12 | 23-39 | 18 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლანსი-ნიმი ... 1:3

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

ალკმაარი-სპარტა ... 1:1
დენ ჰააგი-ზვოლე ... 1:2
ფეიენოორდი-ტილბურგი ... 1:0
გრონინგენი-ვიტესი ... 1:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

პორტუ-რიუ ავე ... 4:2
მარიტიმუ-სპორტინგი ... 2:2
აროუკა-ბოავიშტა ... 1:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ირაკლის-ვერია ... 1:1
პანიონიოსი-პანეთოლიკოსი ... 2:0
ოლიმპიაკოსი-ქსანთი ... 2:0

**ბელგია. 1 დივიზიონი**

კორტრაიკი-ვარეგემი ... 2:3
ბევერენი-ოსტენდე ... 0:1
მუსკრონი-ლოკერენი ... 2:1
ეუპენი-გენკი ... 0:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

აკჰისარი-ქაისერი ... 0:0
ქონია-რიზე ... 2:1
ბურსა-ადანა ... 0:1
ქარაბუქი-გალათასარაი ... 2:1

### ჩოგბურთი

**ავსტრალიის ღია პირველობა**

**კაცები**

კარლოვიჩი-გოფინი ... 3:6,2:6,4:6
ტიმი-პერი ... 6:1,4:6,6:4,6:4
ბაუტისტა აგუტი-ფერერი ... 7:5,6:7,7:6,6:4
ბუსტა-ისტომინი ... 4:6,6:4,4:6,6:4,2:6
ზვერევი-ნადალი ... 6:4,3:6,7:6,3:6,2:6
სიმონი-რაონიჩი ... 2:6,6:7,6:3,3:6
მონფისი-კოლშრაიბერი ... 6:3,7:6,6:4
დიმიტროვი-გასკე ... 6:3,6:2,6:4

**ქალები**

სტრიცოვა-გარსია ... 6:2,7:5
ვესნინა-ბრედი ... 6:7,2:6
ციბულკოვა-მაკაროვა ... 2:6,7:6,3:6
საკარი-ლუჩიჩი ... 6:3,2:6,3:6
გიბსი-ს.უილიამსი ... 1:6,3:6
ვოზნიაცკი-კონტა ... 3:6,1:6
გავრილოვა-ბაჩინსკი ... 6:3,5:7,6:4
პლიშკოვა-ოსტაპენკო ... 4:6,6:0,10:8

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის განმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# როგორ ავირიდოთ სმენის პრობლემები

ეკა ირემაშვილი

ასაკობრივი სმენის დაქვეითება დაკავშირებულია სისხლის მიმოქცევის პრობლემებთან, თუმცა ხშირად სმენის პრობლემები ახალგაზრდებშიც გვხვდება. ამის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი ყურსასმენებში მუსიკის მაღალ ხმაზე მოსმენაა.

სმენასთან დაკავშირებულ პრობლემებზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის, ოტორინოლარინგოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში „ახალ თაობას" ესაუბრა.



მიხეილ ჯაში

**მიხეილ ჯაში:**

– წინა წლებთან შედარებით, სმენის პრობლემები არ გაახალგაზრდავებულა. ასაკობრივი სმენის დაქვეითება დაკავშირებულია სისხლის მიმოქცევის პრობლემებთან. იწყება თანდათან სმენის დაქვეითება მაღალი სიხშირის ბგერებზე. ის აპარატი, რომელიც განაგებს მაღალი სიხშირის ბგერებს, უფრო ნაზია, ვიდრე ის, რომელიც განაგებს დაბალი სიხშირის ბგერებს. სმენის ნერვი საკმაოდ ნაზი წარმონაქმნია, ამიტომ განიცდის ასაკობრივ ცვლილებებს. პაციენტს ამ დროს არ ესმის ხმაურიან გარემოში.

ძალიან ხშირად ოჯახებში კონფლიქტის მიზეზი ხდება ის, რომ შეიძლება ვერ გაიგოს ტელეფონის ზარი ან კარზე ზარი და გაიგოს ჩურჩული სხვა ოთახში. ჩურჩული არის დაბალი სიხშირის ბგერა, ზარი მაღალი სიხშირის ბგერაა და კამათია ოჯახში, რაც გინდა, გესმის, რაც არ გინდა, არ გესმისო.

სმენის დაქვეითება მაღალი სიხშირის ბგერების დაქვეითებით იწყება და კი არ უნდა იჩხუბონ ოჯახში, ეს საყურადღებოა და ექიმია საჭირო. თუ ადამიანს ესმის ჩურჩული და არ ესმის მაღალი ხმა, უკვე პრობლემებია დაფიქსირებული.

თანამედროვე სმენის პროტეზირებაში მედიცინა ძალიან წინ არის წასული, მათ შორის საქართველოში. ჩვენთან კეთდება ყველა ტიპის ჩარევა სმენის აღდგენისთვის. არის ძალიან კარგი ორგანიზაცია, ანგიოლოგიის ეროვნული ცენტრი, სადაც ხდება სმენის აპარატების დიაგნოსტიკა სწორად და კვალიფიციურად. ერთი და იგივე სმენის აპარატი, სათვალისგან განსხვავებით, არ შეიძლება, სხვადასხვა ადამიანს მოვარგოთ. ყველას სჭირდება ინდივიდუალური შერჩევა. უფრო გასაგები რომ იყოს, მაგალითს მოგიყვანთ: დავუშვათ, მე მაქვს მინუს ორი და თქვენც გაქვთ მინუს ორი. ჩვენ ხომ შეგვიძლია, ერთი სათვალე ვიხმაროთ? სმენის აპარატის შემთხვევაში ეს არ შეიძლება. ამას სჭირდება ინდივიდუალური შერჩევა. ხშირად არ ხდება შერჩევა სწორად და ეს ცალკე დისკომფორტის მიზეზია. ძალიან ბევრი იაფფასიანი სმენის აპარატი იყიდება, ამიტომ მოსახლეობა ყურადღებით უნდა იყოს.

თანამედროვე ციფრული აპარატები ძალიან კარგ შედეგს გვაძლევს და არის გარკვეული კვლევა, როცა დგინდება, რა დროს სჭირდება ადამიანს სმენის აპარატი. სმენის დაქვეითება ადამიანს პრობლემებს უქმნის როგორც ოჯახში, ასევე საზოგადოებაში.

***– სმენის პრობლემები გენეტიკით გადაეცემა?***

– ამ შემთხვევაში გენეტიკა არ არის გადამწყვეტი, თუ არ არის გენეტიკური დაავადებები.

***– პროფილაქტიკისთვის რას ურჩევთ მკითხველს?***

– ჯანსაღი ცხოვრების წესი ყველაზე კარგი პროფილაქტიკაა. ამ დროს სმენას პრობლემები არ შეექმნება.

***– ასაკობრივი ზღვარი არსებობს?***

– 40-ის ზემოთ უკვე იწყება სმენასთან დაკავშირებული პრობლემები, მაგრამ ესეც ინდივიდუალურია. 70 წლის ასაკში არიან ადამიანები, ისეთი სმენა აქვთ და გარეგნობა, ვერ იტყვით, რომ ამ ასაკისაა.

***– სამუშაო გარემო რა როლს თამაშობს?***

– სამუშაო გარემო გადამწყვეტია. ხმაურიან გარემოში მუშაობა სერიოზულ პრობლემებს უქმნის სმენას. მუდმივად ხმაურიანი გარემო არასასურველია.

***– ახალგაზრდები გამუდმებით უსმენენ მუსიკას ყურსასმენებით. ეს რა საფრთხეს უქმნის მათ?***

– ამ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა კვლევები როგორც უცხოეთში, ასევე საქართველოში. ყურსასმენების გამოყენება დიდ პრობლემებს ქმნის, იმიტომ რომ ხმამაღლა ხდება მოსმენა. ეს, რა თქმა უნდა, სმენაზე დიდ უარყოფით გავლენას ახდენს და უფრო აჩქარებს ბუნებრივი დაქვეითებისა და დაზიანების პროცესს. ძალიან ხშირად ახალგაზრდები ხმამაღლა უსმენენ მუსიკას, ხშირად ყურსასმენები უხარისხოა და, გარდა სმენაზე ზემოქმედებისა, იწვევს ადგილობრივად მთელ რიგ დაავადებებს, გაღიზიანებას, გარეთა სასმენი მილის ანთებიდან დაწყებული, სოკოვანი დაავადებით დამთავრებული. ამიტომ შეიძლება ყურსასმენების გამოყენება, მაგრამ ზომიერად, არა მუდმივად და ნორმალურ ხმაზე.

***– რამდენი საათი შეიძლება ეკეთოს ადამიანს ყურსასმენები?***

– თუ ნორმალურ ხმაზე უსმენს, შეუძლია, სულ ეკეთოს. ამიტომ ვურჩევ ყველას, შეიძინონ კარგი ხარისხის ყურსასმენები, რომლებიც გადის ექსპერტიზას და, რაც უფრო კარგი ხარისხის არის, უფრო გათვალისწინებულია ის მავნე ზემოქმედებები, რომლებიც შეიძლება გახდეს მიზეზი შემდგომში სმენის პრობლემებისა.

***– სხვისთვის ყურსასმენების თხოვება მართლა არ შეიძლება?***

– ეს სუფთა ჰიგიენური მომენტია. სხვისთვის ყურსასმენების თხოვებით შეიძლება სოკოვანი და სხვა გადამდები დაავადებები გადაგედოთ.

***– მოზარდებში ხშირია სმენის პრობლემები ყურსასმენების გამო?***

– ძალიან ხშირია ბაროტრავმა – აკუსტიკური ტრავმა, რომელიც ხმამაღალი მოსმენის შედეგად ჩნდება და მთელ რიგ პრობლემებს იწვევს.

***– ღამის კლუბებსა და ბარებში სიარული მავნებელია?***

– იქაც არ არის გათვალისწინებული ნორმები, მაგრამ ჩვენთან კანონმდებლობითაც არ არის გათვალისწინებული ხმაურის შეზღუდვა. იყო ამ მიმართულებით რაღაც მცდელობა, მაგრამ მცდელობა დარჩა მცდელობად. ნორმალურ ქვეყნებში ეს კონტროლდება.

ამიტომ ახალგაზრდებმა ხმას დაუწიონ და მუსიკას ისე უსმინონ. ხანდაზმულებს მინდა ვურჩიო, თუ სმენის პრობლემა გაუჩნდებათ, ნუ გაჭიმავენ და მიმართონ კვალიფიციურ ექიმს, რომ თუკი აპარატი სჭირდებათ, დროულად მოხდეს მისი შერჩევა. ჩვენთან სმენის აპარატის ტარება ერიდებათ, არადა, ეს იგივეა, როგორც სათვალე ატაროთ. თუ დროულად არ მიაქცევენ ყურადღებას, სმენა უფრო უარესდება და მერე უკვე უფრო რთულია აპარატის დახმარებითაც კი სმენის პრობლემის გაუმჯობესება.

***– ძვირია სმენის აპარატები?***

– მოქმედებს სახელმწიფო პროგრამა და ფინანსდება. აპარატები ცოტა ძვირია, მაგრამ სახელმწიფო სრულად აფინანსებს და აუდიოლოგიის ეროვნულ ცენტრში მოსახლეობა ამ პროგრამით სარგებლობს. მეტსაც გეტყვით, აბსოლუტური სიყრუის ბავშვებში კეთდება კოხრეალური იმპლანტაცია. აკადემიკოსი შოთა ჯაფარიძე მუშაობს ამაზე. ესეც სახელმწიფო პროგრამაა და სახელმწიფო აფინანსებს იმპლანტს, რომელიც საკმაოდ ძვირი ღირს – 20-დან 25 ათას დოლარამდე ჯდება. წლებია, ეს პროგრამა მუშაობს და 300-ზე მეტი ოპერაცია გაკეთდა საქართველოში. ამ მხრივ საკმაოდ თანამედროვე დონეზეა ეს მიმართულება განვითარებული.

გარდა ამისა, ასევე პროგრამა არსებობს ჩვილ ბავშვებში. ყველა სამშობიაროში ხდება ტესტირება სმენაზე, აბსოლუტურად უფასოა მოსახლეობისთვის და, თუ ცვლილებები გამოვლინდება, ხდება უფრო დეტალური კვლევა აუდიოლოგიის ეროვნულ ცენტრში და ესეც შედის სახელმწიფო პროგრამაში.

ხშირად ადამიანები ექიმთან დაგვიანებით მიდიან, მძიმე ცხოვრება აქვთ, არ სცალიათ, მუშაობენ, დაკავებულები არიან, შეიძლება, ფინანსებიც არ აქვთ და ექიმთან მისვლას ვერ ახერხებენ. მათთვის იმის თქმა მინდა, რომ სახელმწიფო პროგრამები მოქმედებს, უფასოა, არ სჭირდება ფინანსები და მხოლოდ მათი ექიმთან ვიზიტია საჭირო.

***– თუ ადამიანს არ აქვს პრობლემა, ექიმთან პროფილაქტიკის გამო მაინც უნდა მივიდეს?***

– თუ არაფერი აწუხებთ, ექიმთან არ უნდა მივიდნენ. ასეთი გადახრაც არსებობს ჩვენთან, რომ ადამიანს არაფერი აწუხებს, მაგრამ პაციენტი დაზღვეული თუ არის, აუცილებლად უნდა მივიდეს ექიმთან, თუმცა, გარკვეულ ასაკში კარგი იქნება, თუ ყოველწლიურად კვლევებს ჩაიტარებს ადამიანი. მაგალითად, ონკოლოგიურ მარკერებზე კვლევების ჩატარება კარგია 45-50 წლის შემდეგ, რომ არ იყოს ძებნა, კიბო ხომ არ მაქვსო. არის სხვადასხვა ტიპის კვლევა, რომლებიც კარგია, მოსახლეობამ ჩაიტაროს, თუმცა მათთვის სხვა რამე უფრო აქტუალურია. სამწუხაროდ, საქართველოს მოსახლეობის ძალიან მცირე პროცენტია, რომელსაც საკუთარი თავისთვის სცალია.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას"); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## ასტროპროგნოზი

23 იანვრისათვის



**ვერძი** – საქმეების წარმატებით მოგვარებაში ოჯახში შექმნილი მშვიდი და მყუდრო ატმოსფერო დაგეხმარებათ. ფინანსები აკონტროლეთ. **კურო** – დრო დაუთმეთ ოჯახის წევრებს. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას. **ტყუპები** – წინააღმდეგობრივი დღეა. იფრთხილეთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას. **კირჩხიბი** – კონფლიქტური პერიოდია. დაუფიქრებელი ქმედება ან გამონათქვამები დაძაბულობას კიდევ უფრო გააღრმავებს. **ლომი** – მატერიალური მდგომარეობა არასტაბილურია. დაკისრებული მოვალეობა დიდი პასუხისმგებლობით შეასრულეთ. **ქალწული** – ნებისმიერი კონტაქტისათვის კეთილისმყოფელი დღეა. გამორიცხული არ არის, გავლენიანი მფარველის დახმარებაც მიიღოთ. **სასწორი** – საკუთარი თავის რწმენა და ოპტიმიზმი დაბრკოლებების გადალახვას გაგიიოლებთ. მატერიალურ მდგომარეობას არ უჩივით. **ღრიანკალი** – გიმართლებთ შემოქმედებით სფეროში. თვითრეალიზაციისათვის შესაფერისი პერიოდია. **მშვილდოსანი** – დღის პირველ ნახევარში სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. საღამოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისაგან თავი შეიკავეთ. **თხის რქა** – ვარსკვლავები გმფარველობენ. ნუ იჯიუტებთ. დასვენებისა და გართობისათვის დრო არ გრჩებათ. **მერწყული** – წინასწარ დაგეგმილი შეხვედრები წარუმატებლად ჩაივლის. უმჯობესია, საოჯახო საქმეები მოაგვაროთ. **თევზები** – სახიფათო დღეა. თავი შეიკავეთ უთავბოლო საუბრებისაგან. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## სკანვორდი



1. ინტერნეტით დისტანციური საუბრის საშუალება; 2. ქალაქი რაჭაში; 3. ჯ.მაზინას კინოროლი; 4. მდინარე იტალიაში; 5. ალმასის სახესხვაობა; 6. მსხვილი საფინანსო-სავაჭრო გარიგებების ადგილი; 7. შვლის ნაშიერი; 8. საზღვაო მოგზაურობა; 9. სერბი პოეტი (1876-1938); 10. ბედ-იღბალი; 11. რისამე დამახასიათებელი ნიშანი; 12. ...-ა-... ანუ პირისპირ; 13. იტალიური მოხდილი ყველი; 14. იგივეა, რაც ლეოპარდი; 15. ათენის ცენტრის აკროპოლისის ძირითადი ნაგებობა; 16. ხანა, ეპოქა; 17. მსოფლიოს მეხუთე ჩემპიონი ჭადრაკში; 18. პატარა სარწყავი არხი; 19. მთავრობის დადგენილება პატიმართა სასჯელის შემსუბუქების ან მოხსნის შესახებ; 20. ... აგასი; 21. მსხვილი მონარქიული სახელმწიფო; 22. მტრედების რაზმის გადაშენებული ფრინველი; 23. საჩხვლეტი იარაღი ფარიკაობის დროს; 24. ავსტრია-გერმანიის თოჯინების თეატრის კომიკური პერსონაჟი; 25. ქალბატონი (ფრანგულად); 26. ავსტრალიური სირაქლემა; 27. შეუწვავი, მოუხარშავი; 28. რისამე განუწყვეტლივ ჩატარება დროის გარკვეულ მონაკვეთში; 29. ლალი ... (დრამატურგი); 30. მამალი ცხენი; 31. ქიმიური ელემენტი.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ვიქტორია; 2. ყინჩი; 3. პრიშტინა; 4. ქემელი; 7. ქნარი; 9. ფლორა; 12. ალმადოვარი; 14. ხუანხე; 15. ქვაწვია; 17. კიკერსი; 20. თეთრა.

**თარაზულად:** 5. ყინწვისი; 6. კირთაძე; 8. მიჩმანი; 10. აფროდიტა; 11. ტიროლი; 13. სტაპელი; 16. ხაჭაპური; 18. ჰინდი; 19. კანტი; 21. ფეიხოა; 22. მინისტრი; 23. გლისერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ყაზარმა; 2. შარლატანი; 3. გენოტიპი; 4. წერაქვი; 5. შაკირა; 9. სკეტჩი; 11. კარმენი; 12. კომბე; 14. ხანჩალი; 18. ანისი; 19. პეპსი.

**თარაზულად:** 4. წულაძე; 5. შორაპანი; 3. ბეილი; 7. არომატი; 8. გლაქსო; 10. ტოსკა; 13. მოხერი; 15. ტოლედო; 16. პუმა; 17. ბივა; 20. ჩოხელი; 21. ცერული; 22. პასტელი; 23. სუძუკი.

# სამეფო უბნის თეატრს საფრანგეთში ელოდებიან

სამეფო უბნის თეატრი თავისი პირველი გასტროლების ფარგლებში საფრანგეთში, ქალაქ შერბურში, ორ სპექტაკლს წარადგენს.

სულ ცოტა ხნის წინ ევროპელ რეჟისორთა საერთაშორისო ფესტივალის მთავარი პრიზით აღნიშნულ „ტროელ ქალებთან“ ერთად ქართველი მსახიობები სტრინდბერგის „ფრეკენ ჟულისაც“ ითამაშებენ.




„ფრეკენ ჟული“ წარმოდგენილი იქნება შერბურის ლეგენდარულ „იტალიურ“ თეატრში, ხოლო „ტროელი ქალები“ დე ლა ბუტეს თეატრში გათამაშდება.

კვირის ბოლოს დათა თავაძე ახალგაზრდა მსახიობებთან ერთდღიან უორქშოფს გაუძღვება. სამეფო უბნის თეატრის დასი საქართველოში თვის ბოლოს დაბრუნდება და თავისი ერთგული მაყურებლისთვის თებერვალში სპექტაკლებს ითამაშებს.

# ქართველი პიანისტი ლოს ანჯელესში მიიწვიეს



მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალრეიტინგული უნივერსიტეტების, ბერკლის მუსიკალური კოლეჯისა და მანჰეტენის მუსიკალური სკოლის დამთავრების შემდეგ ქართველმა პიანისტმა გიორგი მიქაძემ ამერიკის შეერთებული შტატების კიდევ ერთი პრესტიჟულ პროგრამაში გაიმარჯვა.

მან სულ ახლახან ჯაზის რეზიდენტურის პროგრამის გრანტი მოიპოვა.

ორგანიზაცია, რომლის გრანტიც ქართველმა პიანისტმა მოიპოვა, სანტა მონიკაშია, სადაც ახალგაზრდა არტისტები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან სამი თვის განმავლობაში რეზიდენტურას გადიან.

ჯაზის პროგრამით არსებული ერთადერთი ადგილისთვის არჩევანი გიორგი მიქაძეზე გაკეთდა. გიორგი პირველი ქართველია, რომელიც ლოს ანჯელესში საკუთარი იდეების განხორციელებისთვის მიიწვიეს.

# ქუთაისის ოპერის თეატრი „ტრავიატას“ წარმოადგენს



25 იანვარს ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიულ სახელმწიფო თეატრში, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელიც ირინე ლომინაძეა, წარმოდგენილი იქნება ჯუზეპე ვერდის შედევრი, მისი ერთ-ერთი ყველაზე სულისშემძვრელი და პოეტური ქმნილება, ოპერა „ტრავიატა“.

სპექტაკლის პრემიერაზე იმუშავა შემოქმედებითმა ჯგუფმა დირიჟორ რევაზ ჯავახიშვილის, რეჟისორ მაია გაჩეჩილაძის, მხატვარ თემურ არსენიძისა და ქორეოგრაფ ვახტანგ უშვერიძის შემადგენლობით.

ამ სპექტაკლში მარიკა მაჩიტიძე ვიოლეტა ვალერის პარტიას შეასრულებს, ირაკლი კახიძე ალფრედ ჟერმონის პარტიას იმღერებს, ნიკოლოზ ლაგვილავა კი ჟორჟ ჟერმონის პარტიას შეასრულებს.

სამივე მათგანი აღნიშნული როლების საუკეთესო შემსრულებლად ითვლება, რაც იმის დასტურია, რომ სპექტაკლი ჭეშმარიტ საოპერო ზეიმად გადაიქცევა.

# ევროვიზიაზე საქართველოს თაკო გაჩეჩილაძე წარადგენს

დიდ საკონცერტო დარბაზში ევროვიზიის ეროვნული კონკურსის ფინალი გაიმართა, სადაც 25-მა მონაწილემ სპეციალურად ევროფესტივალისთვის შექმნილი სიმღერები შეასრულა.



მაყურებელმა კონკურსანტების მხარდასაჭერად 110.963 მესიჯი გაგზავნა. მაყურებლის გადაწყვეტილებით, საუკეთესო ხუთეულში დასახელდნენ თაკო გაჩეჩილაძე, მალიბუ, ნუცა ბუზალაძე, ჯგუფი „მინსი“ და გიორგი ჩიქოვანი. ესემესებით შეგროვილი თანხა დიმიტრი ცინცაძის ფონდს გადაეცემა.

საერთაშორისო ჟიურისა და მაყურებლის გადაწყვეტილებით, საქართველოს ევროვიზია 2017-ზე უმაღლესი ქულების მფლობელი თაკო გაჩეჩილაძე წარადგენს. კონკურსი მაისში უკრაინის დედაქალაქ კიევში გაიმართება.

# ნინო თოლორდავა „მაესტროდან“ წავიდა

ჟურნალისტი ნინო თოლორდავა 4-წლიანი მუშაობის შემდეგ ტელეკომპანია „მაესტროდან“ წავიდა. როგორც ჟურნალისტმა განმარტა, ამ ეტაპზე ის არცერთ ტელევიზიაში მუშაობას არ აპირებს და ახალი გამოწვევებისთვის მზად არის.



ინფორმაცია ტელეკომპანიიდან წასვლის შესახებ ჟურნალისტმა თავად გაავრცელა:

– მიყვარს ჩემი მაესტრო, ჩემი კონტაქტი და ჩემი ნიუს რუმი, სადაც ოთხ წელიწადზე მეტი დრო გავატარე... ამ ეტაპზე აღარ მოგესალმებით არც მაესტროს და არც სხვა რომელიმე არხის ეთერიდან. ახალი გამოწვევების დროა!!!! იმედია, ახალი ეტაპი ძველზე არანაკლებ საინტერესო აღმოჩნდება.

# ეკა დემეტრაძე და გიორგი ბოჭორიშვილი დაშორდნენ



ცნობილი ქართული სერიალების „ჩემი ცოლის დაქალებისა“ და „ხელოვნური სუნთქვის“ მსახიობი ეკა დემეტრაძე მეუღლეს, ასევე მსახიობ გიორგი ბოჭორიშვილს დაშორდა, რომელიც „ჩემი ცოლის დაქალებში“ მონაწილეობს.

წყვილს ერთი შვილი, 7 წლის თომა ჰყავს.

ინფორმაცია გაყრის შესახებ გიორგიმ თავად დაადასტურა. „ანფასში“ სტუმრობისას მან განაცხადა, რომ მეუღლეს დაშორდა.

ინფორმაცია წყვილის დაშორების შესახებ ჯერ კიდევ გასული წლის ზაფხულში გავრცელდა, თუმცა მაშინ არცერთი მათგანი ამ თემაზე საჯაროდ არ საუბრობდა.

შეკითხვაზე, არის თუ არა მსახიობების ქორწინება დასაწყისშივე განწირული, გიორგი ბოჭორიშვილს ასეთი პასუხი აქვს:

– რომელიღაცა შედგება და რომელიღაცა – ვერა. მირჩევნია, მე შევდგე, ვიდრე ჩემი ცოლი მსახიობი. არა როგორც ცოლ-ქმარი, მაგრამ, როგორც ორი მსახიობი, ერთმანეთს ბევრ რამეში დავეხმარეთ.

# ლელა მებურიშვილმა პატარა გოგონა გამოაჩინა



მარჯანიშვილის თეატრის მსახიობმა და „დღის შოუს“ წამყვანმა ლელა მებურიშვილმა თავისი რამდენიმე თვის გოგონა საჯაროდ გამოაჩინა.

ლილი, რომელიც, თავისი უფროსი ძმის მსგავსად, ამერიკაში დაიბადა, ფართო საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესის ობიექტია.

ლელა მებურიშვილმა ინტერნეტში ოჯახური ფოტო გამოაქვეყნა. როგორც მოსალოდნელი იყო, მეუღლესთან და ორ შვილთან ერთად გადაღებულმა ფოტომ სოციალურ ქსელში დიდი მოწონება დაიმსახურა.

ლელა მებურიშვილი ბაჩო საგანელიძეზე რამდენიმე წლის წინ დაქორწინდა. მათ ორი შვილი ჰყავთ – 2 წლის ალექსანდრე და რამდენიმე თვის ლილი, რომლებიც ამერიკის მოქალაქეები არიან. ორივე შვილი მსახიობმა ჩიკაგოში გააჩინა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კალეიდოსკოპი

### ამერიკელს ელექტროსიგარეტის აფეთქებამ შვიდი კბილი დააკარგვინა



ამერიკის აიდაჰოს შტატის მცხოვრები პირში ელექტროსიგარეტის აფეთქებისგან დაშავდა.

ენდრიუ ჰოლი ელექტროსიგარეტს სახლში ეწეოდა და სამსახურში წასასვლელად ემზადებოდა. შედეგად მამაკაცმა შვიდი კბილი დაკარგა, სახის მეორე ხარისხის დამწვრობა და ასევე პირის ღრუს სხვადასხვა დაზიანება მიიღო. ის კბილის ექიმთან მიიყვანეს, რომელმაც მას დახმარება აღმოუჩინა. ამჟამად დაშავებულს საკვების მიღება უჭირს.

ჰოლმა მომხდარის შედეგის ამსახველი ფოტოსურათი სოციალურ ქსელ ფეისბუქში საკუთარ გვერდზე განათავსა. მისთვის გაკეთებულ კომენტარში მან მიუთითა, რომ მანამდე ელექტროსიგარეტი გამართულად მუშაობდა. ენდრიუს თქმით, მას ისეთი არაფერი გაუკეთებია, რაც, შესაძლოა, მოწყობილობის აფეთქების მიზეზი გამხდარიყო. დაზარალებულის ფოტოსურათი 50 ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა.

### მთვრალი ჩინელი განათების ბოძში გაიჭედა

ჩინეთის პროვინცია განსუს ქალაქ ცინიანში მეხანძრეებმა მთვრალი მამაკაცი გადაარჩინეს, რომელიც განათების ბოძში გაიჭედა.



20 მეტრის სიგრძის ლითონის ბოძი ქუჩაზე იდო. ადგილობრივი მცხოვრები მასში ფართო მხრიდან შეძვრა, რომლის დიამეტრი 80 სანტიმეტრს შეადგენს და მის სიღრმეში შეფორთხდა. იმის გამო, რომ ბოძი 60 სანტიმეტრამდე ვიწროვდებოდა, მალე მამაკაცი მასში გაიჭედა.

შემთხვევის ადგილზე მისულმა მეხანძრეებმა ბოძის ვიწრო მხარე გადაჭრეს, რის შემდეგაც ერთ-ერთი მათგანი მამაკაცთან მიცოცდა და თოკი მოაბა, რომელიც მის გამოსაყვანად გამოიყენეს. საავადმყოფოში გადაყვანილ მამაკაცს სიცოცხლისთვის საშიში დაზიანებები არ აღმოაჩნდა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


# მალამო „მენტორი პირველი“

**ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოლოს ნაკბენის დროს.**

**გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.**

☎ 599-73-48-21.


## პროგრამა

**ორშაბათი 23 იანვარი**

**07.00** დოკ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" **08.00** "ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" **08.30** დ/სერ."ჯეიმი ოლივერის კერძები 30 წუთში" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**კედრის ყურე**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "გურმანია" **14.30** "სიტყვების თამაში" **15.00, 02.00** "x სტუდია" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00, 03.00** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. "**შურისძიება**" **22.00** "მთავარი" - თამარ ჩიქოვანთან ერთად **23.00** ტ/სერ "**მთავრობა**" 8 სერ. **00.00** მხ/ფ "**ბორნის იდენტიფიკაცია**" (მ.დეიმონი)

**08.00** დ/ფ "ამფორების გზა" **09.00** დ/ფ "ბერები ლაბორტორიაში" **10.00** მხ/ფ "**იდეალური მამაკაცი**" **12.00** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" **15.00, 18.00**"ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "სამყარო" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00, 01.00** ტ/სერ. "**ბორგო ლარიჩის სიდუმლოებანი**" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

**06.30, 16.00** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.10** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**გონული**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.30** ქ.მხ/ფ "**მაიტა ნასოსი**" **00.30** მხ/ფ "**ცენტურიონი**" **02.25** მხ/ფ "**სისხლიანი მონანიება**" **03.50** მხ/ფ "**მცველი**" **05.20** მხ/ფ "**ვახშამი სულელებთან**"

**06.00** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45, 20.10, 20.05** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **18.50, 20.03** სერ."**ოქროს გალია**" **22.00** ნიჭიერი - პირდაპირი **00.00** სერ. "**დროში დაკარგული**"

**08.00** ან/სერ. "**ფანზოი და ჩამ-ჩამი**" **09.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **10.00, 18.00** სერ. "**სკანდალი**" **11.00** სერ. "**კერძო პრაქტიკა**" **13.00** სერ. "**ჩიკაგოს მეხანძრეები**" **15.00** გვიანი შუადღე **17.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **21.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **22.00** სერ. "**მოტივი**" **23.00** სერ. "**როგორ ავიცილოთ სასჯელი მკვლელობისთვის**" **00.00** მხ/ფ "**რომეო და ჯულიეტა**" **02.15** მხ/ფ "**საწოლში მტერთან**" **04.05** მხ/ფ "300"

**06.15** ღვთის სახლი **06.35** პატერიკი-მადლიერება **06.45** ქართული ალბომი **07.20** ჩვენი საგანძური **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ/ფ "**კაცია ადამიანი**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** გამოყენებითი ხელოვნება "ფერწერა ბუმბულით" **15.10** ქართ. ან/ფ **15.30** კონცერტი **15.50** სპექტაკლი "**იავნანამ რა ჰქმნაჲ!**" **17.20** დ/ფ "ხომლი, ფშავხევსურეთი"III**18.05** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.30** ბიბლია ბავშვებისათვის **19.40** საქართველო ევროპულ ოჯახში **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** პატერიკი-"ვინ არის სამყაროს შემქმნელი" **21.35** საეკლესიო აღმშენებლობა **22.15** ქრისტიანული სწავლება **22.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.45** ღვთის სახლი "ბედია" **01.00** სათავეებთან "მემედ აბაშიძე" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

**მაესტრო** **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.50** "ქვიშის ზღაპარი" **8.00** სერ. "**კარმელიტა**" **9.00** სერ. "**ქალბატონი**" **10.00, 2.00** სერ. "**ორი გული**" **11.00** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.30** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 15.30, 3.00** სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.50** სერ. "**მორიგე ექიმი**" **19.55** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.55** სერ. "**მიცანი თუ შელებ**" **21.55** სერ. "**პაემანი**" **22.40** სერ. "**მახე**" **1.30** "კონტაქტი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

23 იანვრისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.6763 |
| ევრო | 2.8457 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.2894 |
| 100 რუსული რუბლი | 4.4722 |

**ამინდის პროგნოზი 23 იანვრისთვის**








## 20 იანვრიდან

დიდი ქართველი მეფეები

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

## 24 იანვრიდან

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

ჯეინ ოსტინი

გონება და გრძნობა




ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

## 25 იანვრიდან




კანდიდ ჩარკვიანი

სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი


## იუმორი



აივანზე მდგომი ქალი ქუჩაში მყოფ მამაკაცს ეუბნება:

– მე თქვენი მეშინია!

– რატომ?

– თქვენ მე გამაუპატიურებთ!

– კი მაგრამ, რანაირად, მე ხომ ქუჩაში ვარ, თქვენ კი მესამე სართულის აივანზე!

– დამიცადე, ახლავე ჩამოვალ!

●●●

განცხადება:

„სახანძრო დაცვის თანამშრომელმა საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ცეცხლმოკიდებული ბანკიდან ტომრით მილიონი დოლარი გამოიტანა. ამჟამად გმირი მეხანძრის ადგილსამყოფელი უცნობია".

●●●

ცოლ-ქმარმა ტაქსი გააჩერა. ქმარი მძღოლს ეკითხება:

– ბაზრობამდე მგზავრობა რა ღირს?

– ხუთი ლარი.

– და ცოლთან ერთად?

– ხუთი ლარი.

ქმარი ცოლს მოუბრუნდა და ეუბნება:

– ხომ გეუბნებოდი, კაპიკია შენი ფასი-მეთქი. არც ახლა დაიჯერებ?!

●●●

ოფიცერი სამხედრო ნაწილის ეზოში უსაქმოდ მოხეტიალე ჯარისკაცს აჩერებს და ეკითხება:

– რატომ დაბოდიალობ უსაქმოდ? გაწვევამდე რას აკეთებდი?

– სავაჭრო ფირმაში განყოფილების ხელმძღვანელის მოადგილე ვიყავი.

– ხელქვეითები გყავდა?

– დიახ, 10 კაცი.

– როგორ მოიქცეოდით, რომ გენახათ, თქვენი ხელქვეითები უსაქმურობდნენ?

– სამსახურიდან გავათავისუფლებდი.

●●●

სახლში გვიან დაბრუნებული შვილი მშობელს ეუბნება:

– მამა, რადგან დაბადების დღეზე ვიყავი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მთვრალი ვარ.

– მამა კი არა, დედა ვარ!

●●●

მეგობრები საუბრობენ. ერთი მეორეს ეუბნება:

– იცი, გუშინ დღესასწაულზე ლამარამ რით დამასაჩუქრა?

– რით?

– სექსით.

– როგორი არაორიგინალურია, ყველას ერთი და იმავეთი ასაჩუქრებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



## 17 იანვრიდან

რევაზ მიშველაძე

# ციყვი ბორბალში

**რევაზ მიშველაძის ამ ახალ რომანში აღწერილია სააკაშვილის ათწლეულის საქართველოს ცხოვრება და ნაწარმოების ცენტრშიც, ბუნებრივია, თვით მიხეილ სააკაშვილი დგას. ნაჩვენებია, თუ როგორ კამათლებივით აგორავებდა თავგასული ხელისუფალი უბრალო მოქალაქის ბედს.**

**რომანი წარდგენილია ნობელის პრემიაზე.**




ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




## ავსტრალიელმა ყოფილ შეყვარებულზე შურისძიების მიზნით 65 კილოგრამი დაიკლო

ავსტრალიის ქალაქ სიდნეის მცხოვრებმა წონაში 65 კილოგრამი მას შემდეგ დაიკლო, რაც მისმა ყოფილმა შეყვარებულმა ზედმეტ წონაზე მიუთითა.

25 წლის ჰეილი უესტობიმ უნივერსიტეტში სწავლის პირველ წელს წონაში 119 კილოგრამამდე მოიმატა. გოგონა ზედმეტად ეტანებოდა ფასტ-ფუდსა და ალკოჰოლს, ვიდრე ყოფილმა მეგობარმა მამაკაცმა მის სიმსუქნეზე უხეში კომენტარი არ გააკეთა.

– ჩვენ რაღაც სისულელეზე ვკამათობდით და მაშინ მითხრა, რომ ჩემთვის გახდომა ურიგო არ იქნებოდა, – განაცხადა ჰეილიმ.

მეგობარ მამაკაცთან ჩხუბის შემდეგ გოგონამ საკუთარი ცხოვრების წესს გადახედა და მიხვდა, რომ წონაში დაკლება ნამდვილად სჭირდებოდა. უესტობიმ წონაში სწორი კვებისა და სპორტულ დარბაზში რეგულარული სიარულის წყალობით დაიკლო.

– სულის სიღრმეში მესმის, რომ მას უხეშობა არ ჰქონია განზრახული. საკუთარი წონის გამო საკმაოდ ავნერვიულდი, – განაცხადა გოგონამ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მსოფლიოში უხუცესი პანდა 37 წლის გახდა

ჩინეთის ქალაქ ფუჩჟოუში პანდის, სახელად ბასის 37 წლის იუბილე იზეიმეს, რომელიც ქვეყნის ტერიტორიაზე მის სახეობათა შორის უხუცესადაა მიჩნეული. აღსანიშნავია, რომ ბასის ასაკი ადამიანის 100 წელს აღემატება.

ცხოველის დღესასწაულისთვის ბამბუკის, ფქვილის, ხორბლისა და სიმინდისგან ტორტი დაამზადეს. 33 წელია, პანდას ზოოპარკის სტრეიტ პანდა ვორლდის დირექტორი ჩენ იუცუნი ადევნებს თვალს.

ბასი გიგანტური პანდების კვლევით ცენტრში ცხოვრობს, რომელიც ფუცზიანის პროვინციაში მდებარეობს. ის ჩინეთის ცენტრალურ ნაწილში დაიბადა. 1984 წელს, როდესაც პანდა ოთხი წლის იყო, ერთ-ერთი ადგილობრივი სოფლის მცხოვრებმა ცივი მდინარისგან იხსნა, სადაც ის გიენების დევნისგან თავის დასაღწევად აღმოჩნდა. ამის შემდეგ ცხოველი ნაკრძალში გადაიყვანეს, მოგვიანებით კი გიგანტური პანდების ცენტრში დაუდეს ბინა.



## გიგანტური ალიგატორის ვიდეომ ფლორიდის ნაკრძალში აჟიოტაჟი გამოიწვია

ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ლეიკლენდის მახლობლად გიგანტური ალიგატორი შენიშნეს. ვიდეომ, რომელზეც რეპტილიაა აღბეჭდილი, ფეისბუქში ხუთი ათასზე მეტი მოწონება მიიღო და ნაკრძალში დამთვალიერებლების მოზღვავება გამოიწვია.



სპეციალისტების შეფასებით, რეპტილიის სიგრძე 4,5 მეტრს აღწევს, ხოლო მისი წონა, სავარაუდოდ, 350 კილოგრამამდე იქნება. ადგილობრივებმა ალიგატორს „მისტერ კუზიანი" შეარქვეს.

ამერიკული ალიგატორები იშვიათად იზრდებიან 3,4 მეტრამდე. ცნობილია ცალკეული ეგზემპლარები, რომელთა სიგრძეც 4,5 მეტრს აღწევდა, მაგრამ მეცნიერებმა ამ სახეობის უფრო მსხვილი წარმომადგენლების არსებობა ვერ დაადასტურეს.

## ჯასტინ ბიბერმა საკუთარი შეყვარებული სახე წარმოაჩინა



კანადელმა მომღერალმა ჯასტინ ბიბერმა ტვიტერში საკუთარ აკაუნტში გამოაქვეყნა სელფი, რომლის კომენტარშიც აღნიშნა, რომ სწორედ სახის ასეთი გამომეტყველებით გამოუტყდება სიყვარულში შეყვარებულს.

გასული წლის დეკემბერში ცნობილი გახდა, რომ ბიბერმა სოციალურ ქსელ ინსტაგრამით სარგებლობა შეწყვიტა და ეს იმით ახსნა, რომ ის ეშმაკისთვისაა განკუთვნილი.

– ჩვენ გვაგზავნის ჯოჯოხეთში და ინსტაგრამის სერვერზე აღმოვჩნდებით ჩაკეტილები, – განაცხადა მაშინ მომღერალმა.

ამის შემდეგ ბიბერმა საქმიანობა ტვიტერში განაგრძო, ასევე საკუთარ გვერდზე დაიწყო ავტოპორტრეტების აქტივობა. ბიბერის ბოლო სელფიმ 278 ათასი მოწონება მოაგროვა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 6. ზღვის ხრტილოვანი თევზი; 7. მოღალატე, განდგომილი; 8. მნათი სტრიქონები ტელევიზორის ეკრანზე; 10. გერმანული ავტომობილი; 11. ქამა სოკო; 13. შრომის ფულადი გასამრჯელო; 16. შესანახად მოდუღებული ყურძნის წვენი; 19. ხელსაყრელ პირობათა ერთობლიობა; 20. სპორტულ შეჯიბრებაში გამარჯვებული.

**შვეულად:** 1. ურანის თანამგზავრი; 2. უქორწო თუთიყუში; 3. ამერიკული სამეჯლისო ცეკვა; 4. ძველბერძენი დრამატურგი (448-397 წწ.); 5. თვითმფრინავის კორპუსი; 9. ოფიცრის წოდება არმიაში; 12. იტალიური კოქტეილი; 14. ძე, რომელმაც დედა მოკლა (ბერძნული ეპოსი); 15. ნაოსნობისთვის სახიფათო წყალქვეშა კლდე; 17. აშშ-ის მუსიკალური პრემია; 18. ქალაქი აღმოსავლეთ საქართველოში.

**შეადგინა ოლივერ კოხიამ**

